

# ბსპლი იპერი

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის  
საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

LA NOUVELLE IBERIE

L'Administration: M-r V. Djibladzé 8, rue Coypel, 8 Paris (13)

ი ს ლ ი ს ი 1938 წ.

№ 10

JUILLET 1938

## ეროვნული ცენტრის ფარისცვალება

ქართული ემიგრაციის ეგრედ წოდებული პოზიციის პრესა, ამ უკანასკნელ ხანებში, ეროვნული ცენტრის განახლების გზების ძიებაშია. ცენტრის პასუხისმგებელნი პირნი აღიარებენ, რომ წარსულმა მუშაობამ შედეგები ვერ მოიტანა. ამიტომ საჭიროდ სთვლიან ეროვნული ცენტრის გადახალისებას. ეს არის ერთგვარი, თუმცა არა ახდრილი; აღიარება წარსულში დაშვებული შეცდომებისა. შეცდომის აღიარება, თავის და თავად მოსაწონი მოვლენაა, რადგან ის ჭეშმარიტი გზის აღმოჩენას ნიადაგს უხსნის. ეროვნული ცენტრის მსახური პრესა თითქოს ამ ჭეშმარიტი გზის ჩვენებასაც ჩემულობს. რადგან ეს საკითხი, ემიგრაციის ფარგლებში ეროვნული მნიშვნელობისაა, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ის განვიხილოთ.

რა ახასიათებს და რა მოვალეობა აწევს ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას? როგორ გაიგო ემიგრაციის არსებითი ხასიათი საქართველოს ყოფილმა მთავრობამ და როგორ შეასრულა მან და მის მიერ შექმნილმა „ეროვნულმა ცენტრმა“, ვით ქართული პოლიტიკის ოფიციალურმა ხელმძღვანელმა უცხოეთში, გარემოების მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობა? როცა ჩვენ ამ საკითხს გავარჩევთ, ადვილი გასაგები იქნება, თუ რამდენად მიზანშეწონილია „ცენტრის“ ლიდერების მიერ განზრახული მუშაობის ახალი მოწესრიგება.

პოლიტიკური ემიგრანტობა ძალიან ძველი მოვლენაა კაცობრი-





საქართველოს  
კომუნისტური პარტია

ობის ცხოვრებაში. ის ყოველთვის, ძველად და ეხლაც მხოლოდ ორი თვისების შეიძლება წარმოვიდგინოთ. უმრავლეს შემთხვევაში პოლიტიკური ემიგრაცია შინაურ რეჟიმს გაუბრძის. ამ უამად ასეთია რუსების, გერმანელების და იტალიელ პოლიტიკურ ემიგრანტთა მდგომარეობა. ხვალ ამათ ესპანელი ლტოლვილებიც მიემატება. როგორც რეჟიმის ანტაგონისტი, ასეთი ემიგრაციის სამოქმედო ბუნებრივი გზა უმთავრესად დოქტრინალური და მასასადამე პარტიულია. ამ კატეგორიის ემიგრაციას დიდი დაბრკოლებების გადალახვა სჭირდება, რომ მის მოქმედებას პარტიული ელფერი ჩამოაშოროს და ეროვნული მოქმედების სახე მისცეს.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, პირიქით, გამოექცა არა რეჟიმის შეცვლას, არამედ უცხო ერის მიერ შისი სამშობლოს დაპყრობას. ბოლშევიკების უნცროსი და ლეიძლი ძმების, ე.წ. მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში ბევრი იყო უკმაყოფილო ელემენტი. ბევრი უდანაშაულო პირი განუსჯელად დაიხოცა, როგორც მაგალითად გორში; ბევრ პატივცემულ პირს ქუჩაში იჭერდნენ და ვით წარსულში მონებს, სავალდებულო სამუშაოზე აგზავნიდნენ. მაგრამ მიუხედავად ამ დევნისა, მატერიალური დაბრვეისა და ზნეობრივი წამებისა, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მაშინ არ არსებობდა. უცხოეთში ქართველობა გადმოიხიზნა, როგორც რუსეთ - საქართველოს ომში დამარცხებული ქართველი ერის მეთაურობა. მასასადამე ეს იყო წმინდა ეროვნული ემიგრაცია, განურჩევლად ყოველგვარი სოციალური დოქტრინებისა და პარტიული დაჯგუფებისა. ეს ჭეშმარიტება ვაზეპირებული აქვს თითქმის ყველა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს უცხოეთში, მაგრამ ჩვენ ეს დებულება მაინც აღვნიშნეთ, რადგან, როგორც თვით ქართული ემიგრაციის სინამდვილემ დაამტკიცა, არ ყოფილა საკმარისი რომელიმე დებულება გაიზეპირო, რომ ის სწორედ გესმოდეს და, მასასადამე, აქედან გამომდინარე მოვალეობას ღირსეულად ასრულებდეს.

ეროვნული ემიგრაციის სამოქმედო ასპარეზი სულ სხვა არის, ვინემ რეჟიმის მიერ დევნილი პოლიტიკური ემიგრაციისა. ჩვენ არ გვინდა თეორიულ მსჯელობას ვაყვებით და ამიტომ აქ განვიხილავთ მხოლოდ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს ეროვნული ემიგრაციის მოქმედება უცხოეთში, რომ მას, მისი ბუნება და მოვალეობა სწორედ ჰქონოდა შეგნებული.

კარგი იყო თუ ავი, ვარემოების კარნახით, უცხოელ სახელმწიფოთა წინაშე, ემიგრაციის სათავეში იდგა საქართველოს გადმოხიზნული მთავრობა. ფაქტიურადაც, იმავე ვარემოების წყალობით, ყოფილ მთავრობას ჰქონდა მის განკარგულებაში ყველა ის მატერიალური და მორალური საშუალებანი — საქართველოდან წამოღებული თუ უცხოეთში შენაძენი — რაც ეროვნულ პოლიტიკურ ბრძოლას სჭირდა. მასასადამე, ყოფილი მთავრობა მოვალე იყო, რომ ემიგრაციის მიერ წარმოებულ პოლიტიკურ მუშაობისათვის ეროვნული შინაარსი მიეცა.

რას გულისხმობს ეროვნული პოლიტიკის წარმოება უცხოეთში? ამ პოლიტიკის მიზანი, ქართული ემიგრაციის ფარგლებში, ყველასათ-



ვის ცხადია, ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. სიმძიმე იწყება ამ მიზნის მისაღწევ საშუალებათა შერჩევაში. აშკარაა, რომ ჩვენი მუშაობა შეიძლებოდა მხოლოდ უცხო სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკის ჩრდილ ქვეშ ყოფილიყო წარმოებული. საქართველოს საკითხი ერთობ მცირეა საერთაშორისო ჯიბრის სივრცეზე, რომ ის რომელიმე სახელმწიფოსათვის ან სახელმწიფოთა ჯგუფისათვის თავის და თავადი ინტერესის საგანი გახდეს. ამიტომ ემიგრაციას მართებდა თვით მოედებნა გზა და ბლოკი სამყაროს ბუმბერაზთა მიერ საქართველოს განთავისუფლების საკითხის საკუთარ პოლიტიკასთან შეუღლებისა. ამისათვის კი საჭირო იყო მუშაობის მიმართულება იმ ძალებისაკენ, ვინც მსოფლიოს ბედობლს ფაქტიურად განაგებენ. ხოლო ამ ძალებთან ჩვენი რაიმე სახით დაკავშირება მოითხოვდა იმ დაუსრუტელ წყაროს მოძებნას და ცოდნას, რაც დასაბამიდან საფუძვლად უდევს ადამიანთა თუ ერთა საერთაშორისო ზრახვებს და მოქმედებას. საჭირო იყო აგრეთვე, რომ ქართული ემიგრაცია თვით მოქმედების ფაქტში ეროვნული დარჩენილიყო და პარტიული შუღლი ან დოქტრინალური სულისკვეთება საჯარო დემონსტრაციის საგანი არ გამხდარიყო. ამ პრინციპის სისრულეში მოყვანა შესაძლებელს გახდიდა გამოხიზნული მთავრობის პარალელურად, შერჩევა მომხდარიყო ისეთი პირებისა, ვინც ბუნებით და არსებული წესწყობილების გაგებით ერკვევიან საერთაშორისო სინამდვილეში და ვისაც შეეძლო გზები მოენახა იმ ბუმბერაზ ძალებთან მისასვლელი, რომელთა ჩვენი საკითხით დაინტერესება შეიძლება ერთად ერთი იმედი იყოს საქართველოს მეზობელ ურდოებისაგან გადასარჩენად. ეს ბუნებრივი შერჩევა ქართული პოლიტიკის ფაქტიური ხელმძღვანელებისა ევროპაში, შესაძლებელს გახდიდა ყველა ქართული ძალების ეროვნული საქმის ვარშემო დაგროვებას და გადმოხვეწილთა ენერჯის სავსებით ეროვნული მიზნებისათვის გამოყენებას. ასეთი სახით მოწყობილ ეროვნულ მუშაობას შეეძლო ნაყოფიერად ემოქმედნა ევროპის საერთაშორისო ყველა იმ წრეებში, მმართველი იქნებოდა ის თუ ოპოზიცია, რომელთა ჩარევა საქართველოს საქმეებში საჭიროდ და სასარგებლოდ იქნებოდა აღიარებული თვით ქართული ხელმძღვანელობის მიერ.

საუბედუროდ, მენშევიკურმა მთავრობამ ასე ვერ დააფასა ქართული ემიგრაციის არსებითი მხარე და ამისაგან გამომდინარე მოვალეობა. მთავრობის წევრნი, რომელნიც გაიზარდნენ პარტიის ფარგლებში და პარტიის შემწეობით გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე, ვერ ამალდნენ გარემოებით დაკისრებულ ეროვნულ მოვალეობამდე და მიუხედავად სამოქმედო პირობების და ასპარეზის გამოცვლისა, არამც თუ პარტიის წევრნი, არამედ დარჩნენ პარტიული კაცები. იმათ წარმოიდგინეს, რომ ემგრაციაში ყოფნა არაფერს სცვლიდა მათ პოლიტიკურ მუშაობის სტრუქტურაში და რაკი საქართველოს პარლამენტი, რომელმაც ის აირჩია, პარტიების წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა, აქაც შეიძლებოდა ამ პრინციპის შენარჩუნება და ვინაიდან საქართველოში დაბრუნებამდის ახალი არჩევნების მოწყობა ვერ





მოხერხდებოდა, მენშევიკურ პარტიას, როგორც ყოფილ პარლამენტის უმრავლესობას, უპირატესობა უნდა ჰქონოდა ემიგრაციის პოლიტიკის ხელმძღვანელობაშიც. ასეთი ჯადაწყვეტილება მენშევიკებს, ალბათ, ორმა მოსაზრებამ მიაღებინა: ერთის მხრივ იდგა პრესტიჟის და პატივ-მოყვარეობის საკითხი; მეორეს მხრივ, ფაქტიური ხელმძღვანელობის სხვა ელემენტებთან გაზიარება მატერიალურ სფეროში საზიანო იქნებოდა პოლიტიკურ სარგებლიანობას შეჩვეულ პირებისათვის. ორივე ეს მოვლენა ადამიანური თვისებაა და მაშასადამე გასაგები, როგორც უბრალო მომაკვდავის სულისკვეთება. მაგრამ როცა ეს სულისკვეთება ახასიათებს მეთაურთ, მით უმეტეს მთავრობის წევრთ, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, რომელშიაც ქართული ეროვნული ემიგრაცია აღმოჩნდა, ეს ფაქტი თავის თავად ამტკიცებს, რომ ის პირნი თავიანთი მოვალეობის სიმალღებზე ვერა სდგანან და არც შეიძლება იმათი მოქმედება ეროვნული ნდობით აღიჭურვოს.

გადმოხიზნულ მთავრობის დანაშაული უფრო შორს მიდის ვინემ ეროვნული მოვალეობის ვერ შეგნება ან მისი არ შესრულება. მენშევიკურმა მთავრობამ იგრძნო რომ, თუ ეროვნული ემიგრაცია, მენშევიკების გამოკლებით კომპაქტურ მასათ დაარჩებოდა, ის შექმნიდა საკმარის ძალას და სათანადო ორგანიზაციას საშრობლოსათვის საკუთარი ხაზით დადებითი მუშაობა ეწარმოებინა. რათა ეს კონკურენტი ძალა აეცდინა, ყოფილმა მთავრობამ ხელი შეუწყო ემიგრაციის დაშლა - დანაწილებას. ბევრს ვერ ეყო ხასიათის სიმტკიცე, ან ცხოვრებასთან ბრძოლის გამბედაობა და პენსიის მიღების მიზნით მენშევიკურ ანკესზე წამოვეგო. ამას მოჰყვა შედეგად, მენშევიკური გემის თანახმად, „ეროვნული ცენტრის“ დაარსება. მენშევიკებმა მიზანს მიადრწიეს. ულუფას მაძიებელი დაქირავებული ხალხი ყოფილი მთავრობის ყურმოჭრილი მონა ვახდა და მენშევიკურ პარტიის პოლიტიკურმა ბიურომ ქართული პოლიტიკის წარმოების ფაქტიური მონობილია დაისაკუთრა. მუშაობის ასეთმა გარიგებამ ორ დიდი ზიანი მიაყენა ქართულ ეროვნულ საქმიანობას უცხოეთში: ჯერ ერთი, ყველა ის პირი ვინც არ იზიარებდა ეროვნული ემიგრაციის მოვალეობის მენშევიკურ გაგებას, ე. ი. ვისაც საკუთარი მოსაზრების უნარი ჰქონდა და შეეძლო მენშევიკური ხაზის შეცდომის დანახვა და ამ შეცდომის გამოსწორების გზის მონახვა, ფაქტიურად პოლიტიკური მოქმედების გარეშე დარჩა. მეორეს მხრივ, „ეროვნული ცენტრი“ ფაქტიურად მხოლოდ სათათბირო ორგანოდ გადაიქცა. თანაც ცენტრის წევრთა არსებობის და მაშასადამე მოქმედების წყაროც დმოკიდებული იყო ყოფილი მთავრობის წყალობისაგან. იშვიათია შემთხვევა პოლიტიკურ წრეთა ურთიერთობაში, როცა დამოკიდებულმა წრემ, ვდრე ის არსებობის სხვა წყაროს არ გაიჩინოს, საკუთარი შეხედულება მიაღებინოს მფარველს, მოწყალე წრეს, თუ კი ეს უკანასკნელი არ იზიარებს ხელქვეითის შეხედულებას. ამიტომ ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ მუშაობას ფაქტიურად აწარმოებდა მხოლოდ მენშევიკური პარტია. ვინც აზროვნების ბუნებას იცნობს, ადვილად მიხვდება, რომ მენშევიკური ბიუროს მიერ წარმოებულ პოლიტიკა ცალმხრივობის გზას ვერ ასცდ-



ბოდა და რომ ის ვერ იქნებოდა იმ ეროვნული ემიგრაციის პოლიტიკის სრული გამომსახველი, რომლის საჭიროება ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ. უნდა ვიფიქროთ, რომ მენშევიკური პარტიის ბიუროს წევრნი შეხედულებით გულწრფელი მარქსისტები არიან. ეს გულისხმობს, რომ მათი ბუნებრივი მიდრეკილებით, ამ დაჯგუფების აზროვნება მიმართულია ინიციატივისა და ინტერესთა თავისუფლების წინააღმდეგ.

მუდამ და ყოველთვის პოლიტიკას თავისუფალი ინიციატივისა და ამით წარმოშობილ ინტერესთა ხლართი ხელმძღვანელობდა და ვინც ამ ინტერესთა კონას სწორად ვერ გაიგებს და ჯეროვნად ვერ დააფასებს, ის პოლიტიკაში მუდამ დამარცხებული იქნება. საქართველოს მენშევიკური პარტიის წევრებს კი, თავიანთი აზროვნების ბუნებით, საერთაშორისო პოლიტიკის მამოძრავებელ ინტერესთა სწორი დაფასება და მათდამი სწორი მიდგომა არ შეეძლოთ, ეს მათი აზროვნების ძირითად საფუძველს ეწინააღმდეგება. მაშასადამე, მენშევიკურ პარტიას არ ძალუძს ევროპის პოლიტიკის სულის ჩამდგმელ სინამდვილეს ალლო აულოს და მოქმედება მას შეუფარდოს. ნურავინ იფიქრებს, რომ რა კი ჩვენი სოციალისტური მთავრობის წარმომადგენლებს ზოგჯერ სამყაროს გამგე პიროვნებანი იღებენ, თითქოს მათ მოსაზრებებს დიდ ანგარიშს უწევდნენ. ლლოიდ ჯორჯმა სთქვა ერთხელ: როცა ინგლისის ინტერესი ამას მოითხოვს პოტენტოტებს და კაცის ჭამიებს დაველაპარაკებო. ეს არ ნიშნავს, რომ პოტენტოტი ინგლისის სახელმწიფო პოლიტიკას და მის ინტერესებს გაიგებს. ხოლო სხვა რომ საკუთარი საქმით დაინტერესო, საჭიროა ჯერ თითონვე წარმოიდგინო შენი საქმის ინტერესი მეორე მხარის შეხედულებით. ვიმეორებთ, ამ ინტერესების სწორი გაგება და მათი სათანადო გამოყენება ჩვენი მენშევიკების წარმომადგენლებმა ვეღარ შეიძლეს. თუ ვინმე იტყვის, რომ ქართველი მენშევიკები მხოლოდ ფორმისათვის არიან მარქსისტები, მაშინ ერთობ ამორალურ, ორგულთა ორგანიზაციასთან გვექნება საქმე, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს წმინდა საქმეს ზნეობრივი და ღირსეული ხელმძღვანელები ვერ იქნებიან. ადამიანმა რომ მიზანს სათანადოთ ემსახურო, საჭიროა მომზადებასთან ერთად ერთგულიც იყო, ამ მიზნისადმი გულწრფელი ინტერესი გქონდეს და სრული ენტუზიაზმი გაპყრობდეს. ხოლო ეს თვისებები ე.ი. გულწრფელობა და ენტუზიაზმი, ვერ მოთავსდებიან ისეთ ორგულ ადამიანებში, ვინც, მაგალითად, მათი პირადი სარგებლობისათვის სხვის დასახანავად მარქსისტობენ, ხოლო სინამდვილეში ცხოვრების მარქსისტული შემეცნების მომსპობ შეხედულებას ატარებენ. გულწრფელობა და ორგულობა ერთი და იმავე მოვლენის მიმართ, ერთ ადამიანში ვერ მოთავსდება. ჩვენ არ გვინდა ქართველი მენშევიკების დასახასიათებლად ასეთი ორგულობის შესაძლებლობა დაუშვათ.

ამრიგად, მენშევიკების მიერ ქართული პოლიტიკის მონოპოლიის დასაკუთრებამ, ეროვნული ემიგრაციის მოქმედება პარტიული ემიგრაციის ჩარჩოებში ჩააყენა. ეს მოქმედება მეორე ინტერნაციონალის ფარგლებში მოემწყვდა. ამას აუცილებლად მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური მასების თანაგრძნობის მოსაპოვებლად, მაგრამ ეს არის



მხოლოდ ერთი, და ისიც მცირე შემავალი ელემენტი იმ რთულ ეროვნულ პოლიტიკისა, რომლის წარმოება ჩვენს ემიგრაციას მართებდა. ხოლო მთავარი საგანი ჩვენი ეროვნული საერთაშორისო პოლიტიკისა, ე.ი. საქართველოს საკითხის გათვალისწინება ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის ფუნქციის მიხედვით, დღემდის დაუმუშავებელი და სათანადო წრეებისათვის გაუცნობელი დარჩა. ამან დიდი ზიანი მოუტანა ქართულ საქმეს უცხოეთში: მრავალი ხელსაყრელი შემთხვევა, სადაც შეიძლებოდა ჩვენი ეროვნული საქმისათვის პოზიციების დაკავება, გამოუყენებელი დარჩა; გარდა ამისა, ამ ათეულ წლებში მოსალოდნელია, რომ ძველ კონტინენტზე პოლიტიკური რუქა კიდევ ერთხელ გამოიკვალოს და არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ განთავისუფლების ნაცვლად, ქართველი ერი უარეს პირობებში არ ჩავარდება ვინემ დღეს არის. როგორც განთავისუფლების საქმისათვის, ისე ამ შესაძლო საფრთხის წინააღმდეგ სათანადო ზრუნვაა საჭირო და ასეთი ზრუნვის შესაძლებლობას მენშევიკების პოზიცია და მათ მიერ დამყარებული მუშაობის მეთოდი ქართულ ეროვნულ ემიგრაციას უსპობს.

ალბათ მენშევიკებმა და „ეროვნულმა ცენტრმა“ თვით შენიშნეს მუშაობის უნაყოფოება და დღეს მათი პრესა აღიარებს მუშაობის გადახალისების საჭიროებას. ზოგი მოითხოვს ეროვნული ცენტრის ნაცვლად, ეროვნული ფრონტი შეიქმნას, სადაც თავს მოიყრიან ემიგრაციის ყველა ძალები. ამ პრესის გამოძახილს თავის თავად არავითარი ფასი არა აქვს, რადგან ის მხოლოდ მკრთალი ანარეკლია სხვის მიერ ჩანაძახი მოსაზრებისა. ამიტომ აქ არ აღვნიშნავთ თუ როგორ ასაბუთებენ ეროვნული ცენტრის მუშაობაში ცვლილების შეტანის საჭიროებას. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ყოფილი მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ჟორდანიას განცხადებაზე. სიანს, ეს განცხადება მთავარი ღერძია განზრახული განახლებისა. ეს გასაგებიც არის: ასეთ საქმეში ინიციატივის გამოჩენა და მთავარი მზრუნველობა პასუხისმგებელ მეთურს ჰმართებს.

მენშევიკური პარტიის ორგანოს ცნობით, ბ-ნ ჟორდანიას წერილობითი განცხადება შეუტანია მის პარტიაში, რომ ის თავს ანებებს პარტიის ბიუროს წევრობას და აგრეთვე პარტიულ ჟურნალის კოლეგიასაც. ბ-ნ ჟორდანიას მისი გადადგომა იმიტომ დაუსაბუთებია, რომ მას თითქოს, განზრახვა ჰქონდეს მთელი თავისი აქტივობა ეროვნულ საქმეს და ქართული ეროვნული ცენტრის გადახალისებას მოანდომოს. ბ-ნ ჟორდანიას ასეთი დასაბუთებული გადადგომა, შეიძლება ითქვას, დადებითი და მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში. ნებით თუ უნებლიეთ, ეს ფაქტი აღიარებს, რომ თვით ბ-ნი ჟორდანია მიხვდა, რომ უცხოეთში ქართული პოლიტიკური მუშაობა შემცდარ ნიადაგზეა დამყარებული. მაგრამ არ შეიძლება ხაზგასმით და გარკვევით არ აღინიშნოს, რომ პარტიის სახელმძღვანელო ორგანოებიდან გადადგომას სრულებით არავითარი ფასი არა აქვს ემიგრაციის მიერ ეროვნული პოლიტიკის კურსის აღებისათვის, ვიდრე ის პა-



რტიდნაც არ გადადგება და ყოველგვარი იდეოლოგიური დოქტრინისაგან თავს სახვებით დამოუკიდებლად არ გამოაცხადებს.

ვიდრე ეს კარდნალური გარდატეხა მასში არ მომხდარა, ყველაფერი რასაც მოიმოქმედებს ეროვნული ცენტრის გადასახლისებლად, მხოლოდ არსებული შინაარსის ფერის გამოცვლა იქნება. ბუნება უზვად იძლევა მაგალითებს, როცა საგანი კანს ან ფერს იცვლის, მაგრამ საგნის არსება ამით არ იცვლება. არ კმარა რომ ეროვნულ ცენტრს ფერი ეცვალოს, რომ ამით მისი მოქმედების ბუნება გამოიცვალოს.

ბ-ნ ჟორდანიას ბედმა არგუნა, იქნებ მისი სურვილის და მისწრაფების წინააღმდეგაც, ერის მეთაური გამხდარიყო. ეს მას ავალებდა, საქართველოს ტერიტორიის დატოვების დღიდან ხელი აეღო ყოველგვარ სოციალურ დოქტრინისაგან. ჩვენს პირობებში უცხოეთში გადმოხვეწილ ერის მეთაურს არ შეიძლება სხვა რამე დოქტრინა ჰქონდეს, გარდა ერის მარადისობის დოქტრინისა. ერისათვის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურა მხოლოდ სატაქტიკო საკითხია. ვისაც ერი სწამს, იმისთვის ერი მარადიული რაობაა, ხოლო ერის ცხოვრების ფორმა: მონარქია თუ რესპუბლიკა, სოციალიზმი თუ თავისუფლების რეჟიმი — ეს გარდამავალი ფორმებია, რომელნიც ან ერთმანეთს სცვლიან ან კიდევ სხვაფერდებიან გარემოებათა განვითარების მიხედვით. ვინც ამ მქვემარიტებას ვერ გაიგებს, მას ერის სამეთაურო ნიჭი აკლია.

სამწუხაროდ, ბ-ნი ჟორდანია დღემდე პარტიული კაცი დარჩა და ერის მეთაურის მაღალი ღირსება ჯერ მაინც ვერ გამოიჩინა. შეიძლება პარტიული ორგანოებიდან გადადგომა პირველი ნაბიჯი იყოს მისი ეროვნული მოვალეობის გზაზე შედგომის. უნდა ითქვას, რომ ადვილი არ არის 50 წლის ნამოღვაწარის ჩამოშორება. მაგრამ ვინც ერის მეთაურობას ჩემულობს, მოეთხოვება ხასიათის სიმტკიცე და ერის სამეთაურო უნარი ჰქონდეს, რაც მას ძალას მისცემს ყოველივე კერძო და პირადი საერთო ეროვნულის სამსხვერპლოზე ზვარაკად მიიტანოს. ასე მოიქცნენ წარსულში არისტოტილე ბრიანი და რამზეი მაკლონალი, როცა ისინი ერის საქმეთა წარმოების პასუხისმგებლობის წინაშე დადგნენ. თითქოს ამავე გზით მიდის დღეს ბელგიის ახალგაზრდა მთავარი მინისტრიც.

ბ-ნ ჟორდანიას წინ ამჟამად ამგვარი დილემა სდგას: თუ ის პარტიიდან გადადგა და მომავალში ეროვნულ მუშაობას შესწირა მისი უნარი, ამ აქტს ალბად დაიწუნებენ ლანჩხუთის მიდამოს მოხუცი გლეხობა და ტფილისის დეპოს ძველი მუშები, რომელნიც მის პარტიულ დოქტრინებზე აღიზარდნენ და შეიძლება პარტიული ფანატიზმით დღემდინაც იყვნენ გაუღენთილნი. სამაგიეროდ, ქართველი ერის ისტორია მას დაუფასებს, რომ სამშობლოს კრიტიკულ ხანაში მან შესძლო ეროვნული სამარადისო ინტერესების გაგებაამდე ამაღლება და ამ ინტერესების რიგიანი დაცვა სცადა. თუ კი ის პარტიის კაცად დარჩება, ბ-ნი ჟორდანია საპატივეცემლო პირი იქნება მისი ძველი მოწაფეთა იმ ნაწილისათვის, რომელთა გონებას ბოლშევიკურმა გრიგალმაც ეროვნული შეგნება ვერ გაუღვიძა. მაგრამ ქართველი ერი მას და-





აფასებს ბრძნული ხალხური გამოთქმით: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისია.

მომავალი გვიჩვენებს ბ-ნი ჟორდანია პარტიული დოგმით გაყინული პიროვნებაა, თუ პირიქით, ერის მიერ მოწოდებულ მეთაურის სახელს მოიხვეჭს. ამის და მიხედვით დააფასებს მას მომავალში საქართველოს ისტორიის მიუდგომელი სამსჯავრო.

## ქაქუცას ხსოვნას

რაც დრო გადის, რაც უფრო ვშორდებით ქაქუცას სიცოცხლეს, რაც უფრო ობიექტიურები ვხდებით მისი ნამოქმედარისადმი, მით უფრო იზრდება მისი პიროვნება და მით უფრო მწვავედ განვიცდით მის უდროვოდ დაკარგვას.

ქაქუცას სახელი, მის სიცოცხლეშივე ლეგენდათ ქცეული, ჩვენს მეხსიერებაში აცოცხლებს იმ დიდ ქართველთა ხსოვნას, საუკუნეების გასწვრივ საქართველოს არსებობისათვის ბრძოლებს რომ მეთაურობდნენ და იშვიათი ვაჟაობისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და გმირობის წარმატცი სურათებით ჩვენს ისტორიას რომ ალამაზებდნენ.

ქაქუცას სახელი ჩვენს მეხსიერებაში აცოცხლებს იმ მამულიშვილთა სახეებს, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი დროშა რომ აღმართეს. ამ მხრივ, როგორც ვიცით, პირველი მოწოდება ერეკლეს კანცლერს სოლომონ ლეონიძეს ეკუთვნის, ხოლო თვით ბრძოლის დაწყებისა და წარმოების ბედნიერება ალექსანდრე ბატონიშვილს ერგო. ის იყო პირველი ქართველი პარტიზანი, რომელმაც ჩვენს ქვეყანას ერთი საუკუნის წინ უწინასწარმეტყველა, რომ რუსეთიდან განთავისუფლება მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა და ამ ბრძოლის დროშა თითონვე აღმართა. ბატონიშვილის დროშას დათმობა არა სწერებია, ამიტომ მან მთელი თავისი სიცოცხლე ამ ბრძოლას მოანდომა და შესწირა კიდევ — ის დღესაც რუსეთთან შეურიგებელი, სამშობლოს ერთგულებაში დღედაღელი უცხოეთის მიწაში განისვენებს.

ბევრად გვიან, უკვე ჩვენს დროში, თითქმის ბედმა გაგვიღიმა და საუკუნის ნაოცნებარს მივადწიეთ...

ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ზეიმი. ამ ბედნიერების დროს საქართველოს ბედის სათავეში მოექცნენ ისეთი პირები, რომელთაც ეროვნული არსებობისა და ბრძოლის სიბრძნე არასოდეს ჰქონიათ და ქართულ ტრადიციებთან სულიერი კავშირი აკლდათ. ამან გამოიწვია ის უეცარი და ჩვენი ისტორიისათვის სამარცხვინო ეროვნული კატასტროფა, რომელმაც დღემდე საქართველოს რჩეულ მამულიშვილთა მრავალი ათასების სიცოცხლე შეიწირა.

საქართველო ღმერთაურობამ სამარცხვინოდ დაამარცხა. ქვეყანა კატასტროფის სიმძიმემ შეაშინა და დააბნია. ქართველობამ ჩქარა იგრძნო მთელი საშინელება სამშობლოს დაკარგვისა. ქვეყანა გლოვამა და მწუხარებამ მოიცვა. საქირო იყო ამ მარცხის გამოსწორება. საქი-



რო იყო ჩვენი სამაყო ისტორიული რეპუტაციის აღდგენა. კაცობრიობის წინაშე საქართველოს 1921 წლის დამარცხების სირცხვილი უნდა მოერეცხა! მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ქვეყნას შესაფერი მეთაური ჰყოლოდა.

აი, ამ დროს, საქართველოს იმ კუთხიდან, საიდანაც ქართველებს ძველდაც არა ერთხელ გაუგონიათ ბრძოლისაკენ მოწოდება, კვლავ გაისმა ძლიერი ყიჟინა. ამ ხმამ საქართველოს კიდით-კიდემდე გადაურბინა და თვითველ ქართველს გულის სიღრმემდე ჩასწვდა; აქ იმედის მიმჭრალ ნაპერწკალს დაჰბერა, გული გაამხნევა და ქვეყანას გუშინდელი დამარცხებით დარცხვენის; საკუთარი ძალ-ღონისადმი იმედი და თავის თავისადმი რწმენა დაუბრუნა. საუკუნოებით ბრძოლებში ნაჭედი ქართველის მხედრული, მებრძოლი სული სულსა სცნობს. ქართველობა ატყობს რომ ეს ხმა გუშინდელი მეთაურისას არა ჰგავს. ქართველთა სალი ეროვნული ინსტიკტი უტყუარად გრძნობს, რომ ქვეყანას საჭირო მეთაური მოეგლინა; რომ ამ მეთაურის მოწოდება თვით ქართველი ერის გულიდან ამონახეთქი, ქართველთა უკვდავი სულის ყიჟინაა. ქართველობა გრძნობს ამას და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას მოწყურებული საქართველო ქაქუცას ბელადობას აღიარებს — თავის ბედს მას აბარებს!

აქედან იწყება ჩვენი ქვეყნის თავის ისტორიულ შარა გზისაკენ შემობრუნება და საქართველოს აწმყო თავის ათასწლოვან წარსულს ორგანიულად ებმება. ეს ახალი ხანაა. ხანა ქართული ნაციონალური ტრადიციებისა და საუკუნოებით შეძენილი სახელმწიფოებრივი სიბრძნისაკენ შემობრუნებისა. ხანა, საქართველოს გამანთავისუფლებელი ბრძოლის ქართულ ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობისა და მავნე კოსმოპოლიტურ იდეებისაგან განწმენდისა. ეს ქართული ნაციონალიზმის გამარჯვებაა!

და თუ ეროვნული თვითარსებობის ძირითადი კანონების დარღვევამ ჩვენი ქვეყანა უფსკრულში გადააჩეხა, ახალ მონობაში ჩააგდო საუკუნოების გამოცდილებით გაბრწყინებულ გზაზე დაბრუნებამ არ დააყოვნა დადებითი შედეგების მოცემა. კიდეც მეტი, მაშინ როცა ბ-ნ ჟორდანიას „სანიმუშო რესპუბლიკამ“ სამი კვირის ბრძოლაც ვერ აიტანა, ეროვნული ძუძუთი ნაკვებმა ჩოლოყაშვილმა იმავე მტერთან სამი წელიწადი იბრძოლა. იმ პირობებში ეს უკვე სასწაულია!

თუ ამ სასახლო, თავგანწირულობა, უსწორო ბრძოლამ — აბოთეოზად საქართველოს აღდგენა რომ უნდა ჰქონოდა — პრაქტიკულად მიზანს ვერ მიაღწია. ამის მიზეზი ისევ საქართველოს დამღუპველ ძველ მეთაურთა ჩარევაში უნდა ვეძიოთ.

1922 წლიდან 24 წლის დამლოვამდე — ეს ის პერიოდია, რომლისა-საც საქართველოს მატთანეს აღარ შერცხვება. ეს ის წლებია, რომელიც ჩვენი ისტორიისა და ქვეყნიერების წინაშე 1921 წლის დამარცხების სირცხვილს ანელებს. ეს წლებია ურყევი საბუთი, რომ ქართველობა არ გადაგვარებულა და ეროვნული სულით აღვზნებულ ერის მეთაურს, შეუძლია ჩვენი წარსულის ბრწყინვალე ფურცლები აღადგინოს. ერის მეთაურს, რომელიც ეროვნული სულის საიდუმლოს გაიგებს და დასძლევს. მაგრამ ბუნება ამ მაღალ თვისებას მხოლოდ რჩეულებს აძლევს.




ყველას არ ძალუძს ერის სულის ხვეულებში გზა გაიკვილოს და თვლით უხილავ საიდუმლოს მიაგნოს.

ჩვენს დროში ამ იშვიათი თვისებით შემკული ქ. ჩოლოყაშვილი აღმოჩნდა. მან მიაგნო ამ საიდუმლოს. მონახა ის თილისმა, რომელმაც სამი ათასი წლის ბრძოლა და ჩვენი ეროვნული მეობის შენახვა შეგვადლებინა! ამიტომ იყო რომ ქაქუცამ სხვისათვის შეუძლებელი შეიძლო. ამიტომ იყო რომ ქაქუცა ერთობ საქართველოს გულის მპყრობელი გახდა. თვითეული ქართველის არსებაში სამუდამაჟამოდ დაისადგურა და ეროვნული იმედის სიმბოლოდ იქცა.

მართალია, უღმობელ სიკვდილს ქაქუცა ჩვენთის შემურდა, აჩქარდა და ნაადრევად ბრძოლის რიგებიდან მოგვტაცა, მაგრამ ქაქუცას სახელი ქართველთათვის არც მომკვდარა და არც მოკვდება — ეს სახელი ლამაზ ჩუქურთმად გადაეწნა იმ დიდ ქართველთა ხსოვნას, ვისი სახეებიც საქართველოს ისტორიაში მუდამ სათაყვანებელი და ძვირფასია. ქაქუცას სახელი მიემატა იმ უკვდავ ქართველთა სახელებს, რომელთა ნამოქმედარი თაობიდან თაობაზე გადადის შორეული ჩამომავლობის სიამაყით აღსავსებით.

ქაქუცას მებრძოლი ეროვნული დროშა დღეს მთელი ერის დროშაა. ქაქუცას საქმეს დღეს მთელი საქართველო ერთგულებს და მის დაცვას ათი ათასები სიხარულით შესწირავენ საკუთარ სიცოცხლეს.

ალ. ცომაია



## ქართული ერთობისათვის

ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში ამ საკითხს მრავალჯერ შევეხებოდე და ვასკენიდით, რომ — „ქართული ემიგრაციის დაშლა - დანაწილებამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია და ამიერიდან ქართული ემიგრაცია, როგორც პოლიტიკური ერთეული ან უნდა მოისპოს, ან თავის რეორგანიზაციას შეუდგეს.“

ამ რწმენით გაჟღერებული „ახალი ივერია“ რედაქციამ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯებიც გადასდგა. გაერთიანებისათვის ნავარაუდევ დაჯგუფებებთან და კერძო პირებთან მოლაპარაკების პირველი დღეები გვაძლევდა იმედს გვეფიქრა, რომ ქართველი საზოგადოება ამ დიდი საქმისათვის უკვე მომწიფებულია და ყველამ შეიგნო, რომ „ერთობა ჩვენთვის ციხეა, მტრებისთვის სახრჩობელი“ და თითქმის ყველა ერთნაირის ხალისით გამოეხმაურა და მზად იყო მხურვალე მონაწილეობა მიეღო ამ „ციხის“ აშენებაში.

მაგრამ საქართველოს მტრებს როდი სძინავთ! ქართული ერთობა ერთნაირად უფრთხობს ძილს შინაურსა და გარეშე მტრებს. იგი ერთნაირად არის საზარალო ორივესათვის და ამ ნიადაგზე გაიბა რთული ინტრიგათა ქსელი. პირველობა ამ შემთხვევაშიც ბან უორდანიას ბანაკს ვერავინ წაართვა. ემიგრაციაში დაირხა მრავალი ქორი: რომ



ბ-ნი ჟორდანი პარტიიდან გავიდა, რომ იგი ამაღლდა ერის ინტერესების გაგების სიმაღლემდე, რომ მას მოაგონდა საქართველოს დამფუძნებელი კრების დავალებები და ამიერიდან იგი ამ დავალებათა აღსრულებას უდგება. ბ-ნმა გვაზავამ ამ „უკომპრომისო“ ქართველმა ნაციონალისტმა არ დააყოვნა ახალი გაზეთის გამოცემა და საზოგადოებას ერის „წინამძღვარის“ პრეზიდენტის გარშემო თავმოყრისაკენ მოუწოდა.

მეორე ადგილი ჭორებისა და ცილისწამებათა გავრცელებაში ჟორდანიას ღირსეულ მოწაფეს, ჩვენი დროის შადიმანს ეკუთვნის. ყველასათვის ცნობილია, რომ როდესაც ჭორის მოგონება ან გავრცელებაა საჭირო, შალვა ამირეჯიბმა დალლა არ იცის. არა ერთხელ უთქვამს თავისიანებში ნასიამოვნების ღიმილით: „ლიუბლიუ სპლეტნიჩატ“-ო. ამ შემთხვევაშიც მან მგლის მუხლი გამოიბა — დადიოდა ოჯახიდან ოჯახში, საყავიდან საყავეში და აჯერებდა გულუბრყვილო ქართველებს: —ეს გაერთიანება ჟორდანიას საქმეა, ეს მათ წისქვილზე წყლის დასხმაა და მონაწილეობა არ მიიღოთ.

ვიმეორებთ, ქართული ერთობის დარღვევით ერთნაირად არიან დაინტერესებული შინაური (ჟორდანიას ბანაკი) და გარეშე (ბამატ-ამირეჯიბის ჯგუფი) მტრები. ამ საქმემ გააერთა თითქოს ერთი მეორეს დაპირისპირებული ჟორდანია და კვინიტაძე-ამირეჯიბი. აქ მათ ერთი მეორეს ჰბანეს ხელი, რათა შემდეგ ორივეს ერთად მესამე, უცხო ბატონისათვის პირი დაეხანათ.

ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ ამ ორი ჯგუფის პარალელურმა, შეხმატკბილებულმა ინტრიგებმა მიზანს მიაღწიეს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მჭერმეტყველურად მოწმობს ჩვენი ემიგრაციის დაავადებას და კერძოდ იმასაც რომ ჯერ კიდევ ჩვენს საზოგადოებაში ბატონობს ფული და არა იდეა.

ემიგრაციის დაშლა შორეული დროიდან დაიწყო. მას იმდენი მანძილი აქვს გავლილი, რამდენსაც ემიგრანტული ისტორია წელს დაითვლის. ემიგრაციის დაშლა, მისი ცალკე ნაწილების ერთი მეორეზე მისევა, მუდმივი შფოთი და მღელვარება, ერთი მეორის სიძულვილი და გაუტანლობა წინდაწინ პირობად იქცა საქართველოს ყოფილი მმართველი პარტიის გავლენის შესანარჩუნებლად. ემიგრანტულ უხასიათო და უნებისყოფი მოღვაწეთა დაქირავება და საკუთარი რწმენის წინააღმდეგ ამუშავების პირველი აგტორიც ჩვენი „სახელოვანი“ პრეზიდენტია. მან შემოიღო და ნორმალურ მოვლენად აქცია დაქირავებული ხალხით პოლიტიკის კეთება. მას შემდეგ რაც მოხდა აქედან წარმომდინარეა.

სამწუხაროდ ეს მდგომარეობა დღემდე გრძელდება. ეტყობა, ჩვენს ემიგრაციას კიდევ არა აქვს შეგნებული ის დიდი მოვალეობა, რომელიც ქართველი ერის წინაშე გვადევს. დაქსაქსული ემიგრაციის პოლიტიკური მოღვაწენი დღემდე თავიანთი ჯგუფური და პიროვნულ-ეგოისტური ზრახვების ტყვეობაში იმყოფებიან.

ჩვენ არ გვინდა რომელიმე ნაციონალისტურ დაჯგუფების პატრიოტულ გულწრფელობაში იჭვი შევიტანოთ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ,



რომ ჩვენს პატრიოტულ სიტყვასა და საქმეს შორის მეტად დიდი ზღვარია. სიტყვით — მზადა ვართ საქართველოსათვის ყოველგვარი მსხვერპლი გავილოთ; საქმით — ცალკე ჯგუფების თავმოყვარეობის საკითხიც ვერ დავგიძლევია, რომ შევქმნათ ერთი დიდი, ქართული ეროვნული გაერთიანება.

მომენტი მეტად საპასუხისმგებლო და სერიოზულია. არეული საერთაშორისო მდგომარეობა და კერძოდ ევროპის ქვეყნების ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ბლოკებად დანაწილება გვაფიქრებინებს, რომ კაცობრიობა დიდი ცვლილებების წინაშე სდგას. ასეთ მომენტში ჩვენთვის უპირველესი საკითხია გვყავდეს მეთაურობა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ღირსეულად დაიცავს.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შეგნებულად და გულწრფელად, პირადი ანგარიშების დაეწყება და საქართველოს ეროვნული ინტერესების წინ დაყენება — ეს არის ძირითადი პირობა ეროვნული ერთობის დასამყარებლად. არა პარტიულ, არა ჯგუფურ, არამედ საერთო, ქართულ ნიადაგზე, ჩვენი ქვეყნის გასანთავისუფლებლად მებრძოლთა თაგმოყრა საიმედო ხელმძღვანელობის მეთაურობით!

ამ ნიადაგზე ქართული ერთობა იქ, საქართველოში უკვე მომხდარი არის. ამ სიბრტყეზე არის დასმული ყოველი საკითხი და მისი გადაწყვეტაც ქართული იქნება. საჭირო არის მისი ემიგრაციაში გადმოტანა და მიზანი მიღწეული იქნება.

სამშობლოს მოწყვეტილი ქართველობა ფსიქოლოგიურად მაინც უნდა გადაებას მშობელ ერს. სხვანაირად ვალმოხდილობა წარმოუდგენელია.

დ. სინჯიკაშვილი

## QUO VADIS სტალინი ?

საბჭოთა რუსეთში უცნაურ თეატრალურ სანახაობას ბოლო არ უჩანს. თანამედროვე სიკვდილის ღმერთს, იოსებ სტალინს ყოველ დღე შევყავართ სულ სხვა მორალურ და პოლიტიკურ განზომილებათა სამყაროში. ახალი საარჩევნო კომპანია ამ უცხო, არა „ამქვეყნიურ“ განზომილებათა მორიგი სახეობაა. ამ სახეობაზე ღირს შეჩერება: ჯერ ერთი, ამან ამხილა და ნიღაბი ახადა ამ „თავისუფალ“ არჩევნების არა თავისუფლებას და ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ სტალინიზმის, ამ უდიდესი თანამედროვე სოციალური ბოროტების გაგებით, მმართველობის შესანარჩუნებლად მისაღებია ყოველგვარი საშუალება. შეგიძლია ხვრიტო ურიცხვი ხალხი, ტერორის საშუალებით ჩააჩუშო მილიონები, მოუსპო ყოველგვარი გასაქანი, აუკრძალო არა თუ ხმის ამოდება, არამედ თავისუფლად ფიქრიც და უყოყმანოდ ასრულებინო ოფიციალური დირექტივები. ყოველივე ეს მიზნის „სიღიადით“ მართლდება. სტალინის არჩევნები ამჟღავნებენ იმასაც, რომ საბჭოთა ტირანების სამეფოში ყველაფერი ვერ არის რიგზე. მემარჯვენე ოპოზიციის იდე-



ებს ჰქონდათ და ეხლაც აქვთ გასავალი ფართე წრებში. საარჩევნო აგიტაციის მახვილი იქითკენ არის მიმართული, რომ საბოლოოდ აღმოფხვრას და ძირიანად ამოგადოს ეს იდეები. ამრიგად, საარჩევნო კომპანია აღიარებს შინა-პარტიულ ჭიდილის კვლავ არსებობას.

არჩევნები ჩვეულებრივი კომუნისტური მეთოდებით ჩატარდნენ. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. ჩვენ ასეც ველოდით. ერთი წუთითაც არ გვიფიქრია, რომ სტალინის „დემოკრატიული კონსტიტუცია“ მართლა რამეს შესცვლიდა. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ მთელი ეს არჩევნების კომედია, საქმეში ჩაუხედავ და გულუბრყვილო უცხოელთა თვალის ასახვევი მანიოვრი იყო და მეტი არაფერი. საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა 99 პროცენტი „იწონებს“ სტალინის სისხლიან მოღვაწეობას. უდანაშაულო ადამიანთა მილიონების მკვლელის პროგრამას და ტაქტიკას დასტურს აძლევს თოფის კონდახებითა და მათრახებით საარჩევნო ყუთებთან მირეკილი უსიტყვო ამომრჩეველთა ჯოგი. მცხოვრებთა 99% დასტურს აძლევს სტალინს განაგრძოს ადამიანთა მილიონების წამება და ხვრეტა! განა სადმე, რომელიმე დემოკრატიულ ქვეყანაში შეიძლებოდა ასეთი ერთსულოვანი ვოტუმის მიღება? მიზანი მიღწეულია, სოციალიზმმა გაიმარჯვა! სტალინი ზეიმობს. მემარჯვენე ოპოზიციის იდეები უკუგდებულა. ოპოზიცია საერთოდ აღარ არსებობს. ყველა სტალინის თავით ფიქრობს, და ვაი იმას, ვისაც საკუთარი აზრი გაუელვებს!... ამ „არჩევნებმა“ კიდევ ერთი საინტერესო და სიმპტომატიური მოვლენა დაგვანახვა. როგორც საბჭოთა პრესა აღნიშნავს, ეს „არჩევნები“ ჩაატარა ადმინისტრაციული აპარატის სრულიად ახალმა შემადგენლობამ. ოპოზიციის განადგურების შემდეგ, პარტიული რიგები შევსებულ იქმნა ახალგაზრდობით. ამ ახალგაზრდობაში საბჭოთა ხელისუფლება ხედავს რევოლუციურ ბოლშევიზმის საუკეთესო წარმომადგენელს. კომუნისტები, ვითარცა მარქსისტები ცუდი ფსიქოლოგები არიან და ძალიან ცუდად ერკვევიან ახალგაზრდობის ფსიქოლოგიაში. ყველაფერს ხსნიან და აფასებენ უხეშად და ელემენტარულად გამოიყვანა რა, სტალინმა ეს ახალგაზრდობა სამოქმედო. ასპარეზზე, აპრიორი დარწმუნებულია, რომ ამათთან არ მოუხდება იდეური შეხეთქება. სტალინი, გამოქნილი ბებერი მელა კარგად იცნობს ამ ახალგაზრდობას. მან მშვენივრად იცის, რომ მათ აკლიათ განათლება - მომზადება, არა აქვთ ცხოვრების გამოცდილება, არ არიან ჩამოყალიბებული პიროვნებანი და მაშასადამე, სტალინის წინააღმდეგობას ვერ გაბედავენ, მისი მორჩილი ყმები იქნებიან. ასე ვარაუდობს სტალინი. მაგრამ, საეჭვოა, რომ მისი ანგარიში სწორი იყოს.. ამ ახალგაზრდობას სრულიად არ აინტერესებს იდეებით და თეორიებით ჯამბაზობა. მას აინტერესებს პრაქტიკული საქმიანობა, კარიერა, წინ-წაწევა, ძალა-უფლება! ის აღზრდილია სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლის ატმოსფეროში, მან არ იცის ვინმეს დანდობა: ჯაშუშობა, დაბეზლება, ადამიანის დახვრეტა, საკუთარი მამისა თუ დედის გაციმბირება, ყველაფერი ეს მისაღები და ჩვეულებრივი ამბავია ამ ახალგაზრდობისათვის. ის შეჩვეულია კარიერის გასაკეთებლად არავინ დაზოგოს და არაფრის წინაშე არ შეს-



დგეს. როცა ამ სულისკვეთების მატარებელთ წინ სტალინი გადაუდგება....

ყოველ შემთხვევაში, სტალინსა და მის მიერვე აღზრდილ ახალგაზრდობას შორის კონფლიქტი აუცილებელია. ეს ექნება შეტაკება არა იდეურ, არამედ წმინდა პრაქტიკულ სფეროში. ამას დაუმატოთ, რომ ახალგაზრდობა, როგორც ხალხიდან ჯერ კიდევ მოუწყვეტელი და მაშასადამე მისი სულიერი განწყობილების მატარებელი, კიდევ კარგა ხანს დარჩება, თუნდაც მისდა უნებურად, თანამგრძობი საზოგადოების იმ გაწამებული, სასოწარკვეთილი ნაწილისა, საიდანაც ესეც არის თითონ ამოძვრა.. ამ პირობებში, სტალინის აღსასრულს სასწაული თუ დააყოვნებს. სასწაულისა ჩვენ არა გვჯერა. მორიგ შეტაკების დროს სტალინს საქმე ექნება მის მიერვე აღზრდილ ჯალათებთან.

აღვა


### თანამედროვე ევროპის კულტურის კრიზისი

ამბობენ, რომ მსოფლიო ისტორიის ჩვეულებრივი დაყოფა ძველ, საშუალო და ახალ საუკუნოებათ დაძველდა და მალე გავა ხმარებიდანო. თითქოს „ახალი ისტორიის“ ამბავი გასრულდა და იწყება ჯერ კიდევ უხილავი და უსახელო ისტორიული ეპოქა. მართლაც, საგრძნობლად შეიცვალა ისტორიის ტემპი: ის იღებს კატასტროფიულ ხასიათს. ინგრევა და ირყევა საუკუნოებით განმტკიცებული სოციალური სამყაროს ქვესაყრდენი. არსად და არაფერში მტკიცე ნიადაგი — ნიადაგი მოლიპული, უკეთ, ვულკანისებურია. თანამედროვე ეპოქის ტრადედია მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ის კატასტროფიულია, რომ დღითი დღე იმსხვრევა და იფერფლება კულტურის ის ბოძი, რომელიც გუშინ აბსოლუტურად ურყევი ეგონათ, არამედ იმაშიც რომ თანამედროვეობას არ ესმის არსი და სული იმ მოვლენათა, რომელსაც თითონ განაგებს და ანვითარებს. დაკარგულ წონასწორობის ძიებაში რეტდასნმული კაცობრიობა გაირიყა ემპირულ სინამდვილედან და სიცარიელეში ცდილობს ააგოს და გაამაგროს თავისი საკუთარი მსოფლიო წეს-წყობა.

დარღვეული წონასწორობის აღსადგენად საჭიროა სინამდვილეში ღრმად ჩახედვა და მისი შეგრძნობა და გაგება. სწორედ ეს უძნელდება თანამეროვეობას. შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან დიდ ხანს გასტანა რეალურ სინამდვილიდან მოწყვეტილობის პროცესმა. ალბათ მეტად მძლავრი გამოდგა გავლენა მრავალ თაობათა უტოპიურ ანთებით გატაცებისა და უთუოდ დიდი იყო უსაგნო იდეალიზმში ჩაკეტვის სურვილი.

ევროპიული კულტურის კრიზისი დიდი ხანია დაიწყო მხოლოდ ამ კრიზისმა თავის უკიდურეს გარეგნულ გამოხატულებას ჩვენს დროში მიაღწია. ეს არის კრიზისი რენესანსის. კულტურის მაღლობებზე,





ხელოვნების თუ აზროვნების სფეროში ახალ ძიებათა სიომ დაჰბერა. მაგრამ რაც ხდება ცხოვრების მალღობებზე, ის თავის გამოხატულებას ჰპოულობს ცხოვრების დაბლობებშიაც. სოციალური ცხოვრების მინდორ-ველი ამზადებს რენესანსის ბოლოს. რენესანსის ბოლო კი არის ბოლო მთელი ეპოქის, ახალი ისტორიის. რენესანსის ბოლო ამავე დროს ჰუმანიზმის დეკადანსია, მისი სულიერი წყაროსი და საფუძველის. ჰუმანიზმი იყო არა მარტო ანტიური ქვეყნის აღორძინება, არა მხოლოდ ახალი მორალი, ის იყო აგრეთვე ცხოვრების ახალი შეგრძნობა და სამყაროსადმი ახალი მიმართება. მაგრამ ცხოვრების ასეთმა შეგრძნობამ დაჰკარგა თვისი შნო და ლაზათი და დღეს ის აღარ განიცდების, როგორც ჰუმანიზმის გაზაფხულის დღეებში. ადამიანისადმი რწმენა შეირყა და შეტორტმანდა. ევროპიელი ადამიანი შედის ახალ ისტორიაში მტკიცე რწმენით თავის თავადობისა და გამოდის ბედის არ მცოდნე, უნებო, უიმედო, დაქანცული. თითქოს ახალი ისტორიის საქმემ მიზანს ვერ მიაღწია. ერთი კი ცხადია: ადამიანი დაიღალა, მისი პიროვნების დაცვა-შენახვა ბევრ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული. დაქანცული ადამიანი მოსვენებას ეძებს, გაურბის ტკივილებს, სწირავს თავის პიროვნებას და თავს აფარებს ყოველი ჯურის კოლექტივებს.

მე-19 საუკუნეში კაცობრიობის ცხოვრებაში შეიჭრა მანქანა, როელმაც დაარღვია მისი ორგანიული რიტმი და ძირეულად შესცვალა ძველი ცხოვრების წყობა. მანქანა ამზადებს ახალ ისტორიულ ეპოქას. წმიდათა-წმიდა სიმბოლიკის კულტურა ჰკნება. ადამიანის ცხოვრებაში მანქანის შეჭრას მოჰყვა აუარებელი ცვლილებები. მან დიდი გავლენა იქონია ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე. თანამედროვე ხელოვნება ემიჯნება რენესანსს. ფუტურიზმი, რომელიც წარმოადგენს უფრო სერიოზულ სიმპტომს ვიდრე ზოგიერთები ფიქრობენ, არა სცნობს ადამიანის პიროვნების რაობას, ადამიანის სახიერებას. ფუტურიზმი უარყოფს მიქელ ანჯელო და ლეონარდო დავინჩის მსოფლგაგებას — მათ შემოქმედებას და თავისი სახეების სრულქმნილებას ეძებს არა ბუნებაში, არა ადამიანში, არამედ მანქანაში. ადამიანის სახე ადამიანის სული, ადამიანის სხეული იღუპებიან ფუტურისტულ ხელოვნებაში. ეგრე წოდებული კუბიზმი, ისეთი დიდი მხატვრის, როგორიცაა პიკასო, ანაწევრებს ადამიანის სხეულს და ამრუდებს ადამიანის მხატვრულ სახეს. აქ ყველაფერი ყველაფერში გადადის. გახეთის განცხადებები, შუბის ნატეხები, ტყავის ნაჭრები და სხვ. იჭრებიან ამა თუ იმ საგნის ბუნებრივ ფორმაში და უკარგავენ მას თავისებურობას, საკუთარ სახეს. ასეთია ფუტურისტული პოეზიაც. ადამიანი კარგავს თავის თავს და იძირება ქაოსში.


ანალოგიურ ამბავს აქვს ადგილი სულიერ ცხოვრების სხვა სფეროებშიც. მე-19 საუკუნის პოზიტივიზმი შებრძოლებათა რენესანსის კულტურასთან. ადამიანის შემოქმედებითი ძალების ზღვარდების აზრი — პოზიტივიზმია. მისთვის არ არსებობს ბუნების საიდუმლოებანი. პოზიტივიზმი რენესანსის სულის უარყოფათა. დღეს ფილოსოფიაში პოზიტივიზმი არ არის სერიოზული ამბავი. დიდი ხანია ევროპის





ფილოსოფიაში გამეფდა ცნობილი კრიტიკული ფილოსოფიის ახალ ისტორიის დასაწყისში ადამიანის პიროვნება „აჯანყდა“ და დადაიპრო, ასე ვსთქვათ, თვითგამორკვევის უფლებანი, ახალი ისტორიის „ბოლოში“, ჩვენს თვალწინ, ადამიანი თითონვე სცდილობს გაიმიჯნოს და დასძლიოს თავისი თავი. თანამედროვე კრიტიკული ფილოსოფია (კოჰენი, ლუსენი და სხვ.) სასტიკად ებრძვის ანტროპოლოგიზმს; ის იქვის თვალთ უყურებს ადამიანს და ხედავს მასში რელატივიზმის წყაროს ე. ი. შემეცნებისათვის უსარგებლოს. კრიტიკულ გნოსკოლოგიაში არის რაღაც საერთო და ნათესაური პიკასოს კუბიზმთან. ისიც შლის ადამიანის შემეცნების ორგანიზმს კათეგორიებად როგორც პიკასო ადამიანის სხეულს კუბებად. ეს არის ორგანიზულ მთლიანობის ანალიტიკური დაშლა-დანაწევრების პროცესი. ადამიანი არა სჩანს კრიტიკულ გნოსკოლოგიაში. დაკარგა რა თავისი ყოფის სულიერი წყარო, ადამიანი ეუფლება რაღაც არა ადამიანურს. საშუალო საუკუნეების სქოლასტიკაში ადრე შეიძლება ვიპოვოთ ადამიანი, ვიდრე თანამედროვე გნოსკოლოგიურ ნეო-სქოლასტიკაში. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ კანტის შემდეგ, არც ნეოკანტიანელები, არც ლუსენი თავისუფლების პრობლემას არ შეხებიან. ანალოგიურ ამბავს აქვს ადგილი თანამედროვე სოციალიზმშიაც. ინდივიდუალური შემოქმედების პათოსს აქ უპირისპირდება კოლექტიური შემოქმედების პათოსი. სოციალური ცხოვრების ცენტრი გადადის ეკონომიკაში. ფილოსოფია, ხელოვნება, რელიგია, ერთი სიტყვით, უმაღლესი შემოქმედების კულტურა ცხადდება „ზედნაშენად“. ადამიანის პიროვნების ღირებულება, მისი ინდივიდუალური სული საზოგადოებრივი კოლექტივის განვითარების უბრალო საშუალებაა. აქ ყველაფერი კლასია, კლასობრივი შეგნება. ადამიანი მთელი თავის ბუნებით, ინტიმური ცხოვრებითაც კლასიური არსებაა. კლასი ნოუმენია, საგანი თავისთავადი, ადამიანის პიროვნება კი ფენომენი. სოციალიზმი თანასწორობის იდეას ქადაგებს და ბევრი ამაში ჰხედავს სოციალიზმის მორალურ სიძლიერეს. სინამდვილეში კი, არსებითად, თანასწორობის პათოსს არის სხვისი ყოფისადმი შურის პათოსი, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როცა ირკვევა საკუთარი ყოფის დაცვა-გამაგრების შეუძლებლობა. თანამედროვეობის დამახასიათებელია აგრეთვე ფაშიზმი. ამ მოვლენაზე შეიძლება სხვა და სხვა აზრისა ვიყოთ: მოგვწონდეს ან ვიწუნებდეთ, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ფაშიზმი არის ჩვენი დროის მეტად სერიოზული მოვლენა. ფაშიზმი არ არის მარტო გარკვეული სოციალ-პოლიტიკური მიმართულება. ეს არის სრულიად ახალი კულტურა. ახალი ცივილიზაცია, სავსებით მოწინააღმდეგე რენესანსისა და მისი არისტოკრატიზმის. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

შ. კალანდაძე





## კულტურული მუშაობა გარეგანიად

ჩვენ გვნდა აქ შევეხოთ რამოდენიმე ნაწერს ბ-ნი ტ. მარგველაშვილისა, რომელიც გამოქვეყნდა უცხო ენაზე და გაუზიაროთ ჩვენს მკითხველს მათი შინაარსი: ჯერ კიდევ პატლ ბ. გუგუშვილისა და ჩვენი ინგლისელ მეგობართაგან გამოცემულ „გეორგია“ში დაიბეჭდა ბ. ტ. მარგველაშვილის ერთი ნარკვევი, რომელიც სრულიად განსაკუთრებული მხრივ ეხება „ვეფხისტყაოსანს“, როგორც ძველეთის კულტურის ძირეულ თვისებათა შემცველ ძეგლს. ეს ნარკვევი მხოლოდ ერთი ნაწილია ავტორის ვრცელი შრომისა, და მეტად მოწონებული პროფ. იენზენისაგან, რომელიც ცნობილი სპეციალისტია მსოფლიო ლიტერატურისა და საზოგადოთ სიტყვიერებისა. მთავარია თეზა, „დაძმობილება“ დიდ მნიშვნელოვანი სოციალ - პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტია მთელს ძველეთში; ხეთასა, ბაბილონისა, ეგვიპტენსა და საქართველოშიც. ავტორს მოჰყავს მრავალი საბუთები ხელშეკრულებათაგან უკვე მე-14—16 საუკუნოებიდან ქ. წ.; აგრეთვე ის, რომ „ვეფხისტყაოვი“ კულტის საგანია, რელიგიის სფეროდანა წარმოცენებული უკვე უძველეს ეგვიპტე - ბაბილონიდან, და რომ ეს ტყავი იხმარება ჩვენს ეპოსში, მაგრამ მგოსანი ვალად რაცხს განუმარტოს მკითხველს თავისებური პოეტური აღმადგენის შედარებით (ნესტან - დარეჯანს) ამ ტყავის ხმარება ტარიელისაგან, თუმცა ეს ტყავი იხმარება პოემაში არა მარტო ტარიელის საცემლად.

უნდა აღინიშნოს, რომ „დაძმობილების“ მნიშვნელობა, პირველად ბ. ტ. მარგველაშვილისგანაა ვარკვეული თვით მეცნიერულ ლიტერატურაშიც, როგორც ასეთი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული მოვლენა; ამავე საკითხს ავტორი ეხება უფრო ვრცლად მეორე ნარკვევში გერმანულად: „კავკასია და ძველი ორიენტი“, სადაც ის აღნუსხავს მსგავს მოვლენათ ძველ საბერძნეთშიც და მთელს ორიენტში, უკავშირებს „ძიძიშვილობას“ საზოგადოებრივ აგებულობას საერთოდ და ასკვნის მის მნიშვნელობას სამხედრო თვალსაზრისითაც (ქართლ. ცხოვ. მაგალითით).

აქვე ეხება ავტორი მეტად მნიშვნელოვან საკითხს ქართველების რაობის შესახებ: არის ქართული რასა (მოდგმა) მამამთავრული თუ ის არის დედამთავრული კულტურისა (პატრიარქალური თუ მატრიარქალური), როგორც ბევრი ევროპიელი ამტკიცებს (რუსთა გავლენით). ავტორის აზრით ქართულ-კავკასიური ადამი და ქრისტიანობის წინად გავრცელებული კერპთაყვანის სარწმუნოების ნაშთები ცხადად მეტყველებენ, რომ ქართველობაც და მისი მონათესავე რასიული ელემენტები კავკასიაში მამამთავრულ კულტურის მქონენი იყვნენ დასაბამიდანვე. ქართველობასა და მის რასას ანიჭებს ავტორი პირველობას მკირე აზიასა და მის მიდამოებში დედამთავრული კულტურის მოსაზრებასა და მამამთავრულის შემოღებაში, და ავტორის აზრით, ამავე რასას ენიჭება, როგორც თუთბერისა, ბრინჯაოსა, და რკინის კულტურათა შემოღება იმავე არეზე, ისევე როგორც დინასტიური ელემენტის (რასის) შეტანა ეგვიპტეში. მანვე შეუწყო ხელი ცხენის დამკ-




ვიდრებასა და შეიძლება თიხეულობის გარისს შემოღებასაც. ავტორს მოჰყავს ბევრი მასალა ამ აზრის სასარგებლოდ კარგად ცნობილ მეცნიერთა სახელებით, როგორც სპეციალ მკვლევართა. პირველი შესვლა ქართული რასის ძველ ორიენტში ეკუთვნის სულ გვიან **მეხუთე ათასეულ წელს.**

გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ავტორი ეხება აგრეთვე უცხოთაგან ყბადღებულ ჩვეულებას „ქურდობისა“ და „ყაჩაღობის“ მთიელთა ერებში კავკასიაში. გაჰყავს შედარება ძველ სპარტანელთა ამავე ჩვეულებებთან და საშუალო საუკუნოების ცნობებითა და კარბათაყვანის-მცემლობის ნაშთებთან შედარებით ასკვნის, რომ „ქურდობა - ყაჩაღობა“ თავდაპირველად **რელიგიურ ნიადაგზეა** აღმოცენებული. კულტის წესში შედის და დაკავშირებულია ნაწილობრივ **მთვარის** კულტთან, რომელშიაც შედის სიყვარულისა და ადამიანთა მსხვერპლობის წესიც ისტორიის წინა დროში (რასაც სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ ზოგ ხალხთ, მაგ. აფხაზთ, უკანასკნელ ხანამდეც კი ჰყოლიათ „ქურდობის ღმერთი“, რომელსაც ევედრებოდნენ და მსხვერპლსაც სწირავდნენ). საინტერესოა ის დასკვნა ამ ნარკვევისა, რომ თუ ქართული რასა მამამთავრული კულტურისაა დასაბამიდანვე, მაშასადამე, ავტორის აზრით, თვით წარმოშობის არე ქართული რასისა (ანუ იაფეტურის) არ შეიძლება იყოს ხმელთაშუა ზღვისა და სამხრეთ ევროპის არე, სადაც თავიდანვე უთუოდ დედამთავრული კულტურა უნდა ყოფილიყო, რომელიც ქართულმა რასამ ზოგჯერ მოსპო, ზოგჯერ შეარყია ძირიანად, არამედ მისი, ე.ი. ქართული მოდემის წარმოშობა უნდა იყოს იმ არედან, საიდანაც ყველა სხვა მამამთავრული რასები წარმოშობილან, მაგ. ინდო-გერმანულიც, რომელთანაც ქართულს, იაფეტურს, უდიდესი **სულიერი** და **ფიზიკური** ნათესაობა აქვს, მაშინ როდესაც სხვა რასებთან, მაგალითად მონგოლურთან და სემიტურთან მას რასიულად არა აქვს რა საერთო. ჩვენ გადმოვცემთ აქ მხოლოდ ზოგადად უმთავრეს დებულებათ. ეს ნარკვევი, როგორც მისი წინასიტყვაობიდან სჩანს, ერთი პატარა ნაწილია ავტორის ვრცელი ნაშრომიდან, სადაც ის არკვევს ქართული ელემენტის მნიშვნელობას ისტორიაში კულტურის უმთავრეს დარგების განხილვით. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს: ავტორის აზრით ქართველობას კავკასიაში შესვლისას დახვედრია პლანეტთა თაყვანისმცემლობა, დაუტოვებია საკუთარი ეროვნული სარწმუნოება (მცირე აზიაში ცნობილი „ღმერთი შემომქმედისა“) ნაწილობრივ მაინც და მიუღია იქ დამხდურთა სარწმუნოება, რომლის გავლენა ქართველებზე ნაკლები იყო, ვიდრე მის წინ იქვე მობინადრე ელემენტებზე, რომელთაც ამ ნიადაგზე შერჩათ მისი ნაშთებიც, მათ შორის „ქურდობის“ წესიც. ქართველობამ კი უფრო მალე და იოლად დასძლია ეს უცხო და გადმოღებული სარწმუნოება და მისი გავლენაც. ამის წინ კი მცირე აზიაში, ქართულ რასას აკუთვნებს ავტორი აგრეთვე დიდ რელიგიურ გადატრიალებას: ღვთაებრიობის სამყოფელთა გადატანას მიწიერობიდან მალლობთაკენ და ცისკენ, ყოველ შემთხვევაში ამ პროცესის დაჩქარებას მაინც. ხოლო რასიულობის საკითხი ბ-ნი მარგველაშვილი იცავს თეზას, რომ ქარ-



თველობა წარმოადგენს ულამაზეს ელემენტს აღმოსავლეთის ერთა შორის, რაც აღნიშნულია ყველა იმ ევროპიელ მოგზაურთა და მკვლევართა მიერაც, რომელთაც უკვე საშუალო საუკუნეებში შეუსწავლიათ ქართველობა ადგილობრივ დაკვირვებითა და მეთვალყურეობით, და რომ ჩვენი იდეალი სილამაზისა გადაღებული აქვთ ძველ საბერძნეთის მოქანდაკეთ მეცნიერ ლეონ ჰარდის დასტურითაც და რომ ჩვენი მოდგმა **გარეგნულად და სულიერად** ძალზე ენათესავება სწორედ ინდოგერმანულ რასას, ჩრდილოელ ტიპს. ავტორი სიამოვნებით უდასტურებს ბ-ნ დოქტორ გაიგერს მსგავს აზრს, რომელიც ამ პატ-ლ გერმანელს გამოუთქვამს.

მიკობველი



### სოტა რამ იანიჩარში

„ამდ სძრახვენ ვინც აეს ჩადის, კულავ აღარ ჩაიღინოს,  
 „სხვა გაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არვი ჩაი-  
 „კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კარგა მაიხინდინოს, [ღინოს.  
 „თორემ ბოლოს ვით იქნების, ავზედ ძრახვა აიცილდინოს?

დ. გურამიშვილი.

ქართველი იანიჩრების მეთაური შალვა ამირეჯიბი ენა მოქნილი კაცია. მას არ უჭირს დღეს ერთი სთქვას, ხვალ მეორე, მერე ერთბაშად ყველაფერი უარყოს და თავის ნათქვამიც სხვას მიაწეროს. დღეს ერთ ბანაკშია, ხვალ მეორეში, ხან ერთს აქებს ხან მეორეს. ძნელი გასაგებია როდის ბრძანებს მართალს, როდის არის გულწრფელი. არც ერთ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს ამდენი არ უწოწიალია, ამდენი ფერისკვალემა არ განუცდია. შალვა ამირეჯიბი ნამდვილი ქამელეონია, რომელიც ადგილისა და პირობების მიხედვით ფერსაც იცვლის და ზნესაც.

ამირეჯიბის ასეთი ბუნებით უნდა აიხსნას, რომ მისი მოღვაწეობა, ემიგრაციაში მოვლინების პირველი დღიდან აქამდე დაუსრულებელი, შეუწყვეტელი ჯაჭვია პოლიტიკური სკანდალებისა. ვის არ შეუტია მან, ვინ არ ლანძღა და ათრია, ვის არ შეჰყეფა, ვინ არ დაცოფა? არავინ გადარჩენია. ამირეჯიბი მთელი ეს წლები კარი-კარ დაძრწის, რომ დღეს გუშინდელი მეგობრები ლანძღოს და ხვალ კიდევ დღევანდელ მოკავშირეებს მოუბრუნდეს. ქვეყნიერება შეჯავრებულ, გაბოროტებულ საჭურისივით არავის ინდობს!

ბევრი, ძალიან ბევრი რამ მიუტევა ქართველმა საზოგადოებამ მას. ამირეჯიბს საყვედური არ ეთქმის; ვიდრე ის ქართულ ფარგლებში რჩებოდა, ვიდრე მთელ საქართველოს არ დაუპირდაპირდა, ქართველობა თვალისა და ყურისა; მაგრამ როცა ამირეჯიბი ბამატს დაუქირავდა და ომარ-ხანის ჩამომავალთ საქართველოსაკენ წამოუძღვა, როცა თავის კუჭის გასასვებათ ქართული ტერიტორიით და ვანტანგ გორგასლანის საფლაგით ვაჭრობა დაიწყო — საზოგადოება მის მიმართ ზიზღით აი-გსო, ამის პატიება შეუძლებელი აღმოჩნდა!

ამირეჯიბი დღეს ებრძვის ყველა იმათ, ვინც საქართველოს ნაჭერ-



ნაჭერად გაყიდვის წინააღმდეგ ხმა აღიმალღეს და ქართველის დაწყულულებულ გულში ბამატის ხელის ფათური არა სასურველ მოვლენად მიიჩნია. ებრძვის საშუალებათა განუორიველად: ქორებით, ტყუილის მოგონებით, დაბეზლებით, პროვოკაციის მოწყობით. ყველა ეს საშუალება მისთვის მისაღებია. მისი შურითა და ბრაზით სავსე არსება არც ერთ ხერხს არ ერიდება. ეტყობა, მენშევიკების ბანაკში ხანგრძლივად ბინადრობის დროს, იმ წრის ყველა უარყოფითი, უარესი თვისებები სავსებით შეუსისხლბორცვია, ხოლო ნორმალური ადამიანის დამახასიათებელი სულიერი სიფაქიზე — თუ მასაც როდისმე ჰქონდა — იქ მენშევიკურ ბანაკში დაუორჩენია.

ამჟამად მისი ბრძოლის საგანია „ახალი ივერია“. ვინ მოსთვლის რა საზიზღარ ცილისწამებათ არ ავრცელებს ამ ჟურნალის შესახებ. ხან ვიგნდარები ვართ, ხან მენშევიკები, ხან მოსკოვის დამცველები და სხ. დაწერილს არა სჯერდება, საცა ენა მიუწვდება სიტყვიერადაც „გვამკობს“.... რამ გამოიწვია ამირეჯიბის სიმშაგე, რამ გაახელა, რას ედავება „ახალ ივერიას“? ეს ყველამ იცის — ჩვენმა ჟურნალმა არ გაიზიარა ამირეჯიბის სულმოკლე, ქართველის სახელის გამტეხი და საქართველოსათვის დიდი საფრთხის შემქმნელი საქციელი დაჰგმო ჟურნალ „კავკასის“ პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობა დაიცვა. ამირეჯიბმა ფარხმალი აისხა და იერიშზე დადმოვიდა. მან პროვოკაციით დაიწყო — შეფიცულების ჩვენზე წაქეზებით. საბედნიეროდ, ჩვენმა ჟურნალმა ადვილად ამხილა მისი ბოროტი განზრახვა. ხოლო მისი უნამუსო ცილისწამების საპასუხოდ ჩვენმა გამოწვევამ, საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე წარმდგარვიყავით, ამირეჯიბი შეაშინა. ის პასუხისმგებლობას გაექცა და სიტყვა ბანზე აგვიგდო. უსარგებლო ოინია! ქვეყანა არც ისე ბრყვივა როგორც მას ჰგონია. ყველა მიხვდა, რომ ამირეჯიბს არ შეუძლია თავისი არსებობის ბინძური წყარო საზოგადოებას დაანახვოს. ეცადოს, ეცადოს ამირეჯიბი მოგვაჩვენოს, რომ ბულბულია და ვარდზე ზის, ქართველები თვალბილულნი არიან — აშკარად მოსჩანს მედიდურად ნეხვზე წამომჯდარი უტყინო შავი ყორანი!

ამირეჯიბის მტკიცებით ჩვენს ჟურნალს ქართული ტერიტორიის დაცვა დაუწყია მენშევიკების ვაგლენით, კერძოდ ბ-ნი გრ. ურატაძეს ეშხით! მცირე ფაქტიურ შენიშვნას გავაკეთებთ: ჩვენი ჟურნალი, რომელშიდაც ქართული მიწა-წყლით ვაჭრობა დაიგმო, გამოვიდა გასული წლის **ოქტომბერში**, ხოლო ის კრება, რომლის მოგონებაც ამირეჯიბს ტყინს უმღვრევს და, სადაც ქართველმა საზოგადოებამ მას გაკიცხვისა და შეჩვენების განაჩენი გამოუტანა, მოეწყო **დეკემბერში**; მაშასადამე, ჩვენი აზრი ბამატ-ამირეჯიბის საქმიანობაზე, ამ კრებამდე, კარგა ადრე გქონდა ნათქვამი. აქ შეიძლება მეტის თქმაც. დაუშვათ, რომ არ იყოს ასე და მართლაც მენშევიკებთან ერთად ვიცავდეთ ქართულ მიწა-წყალს. ჩვენ ამაშიც სათაკილოს ვარაფერსა ვხედავთ: მენშევიკი იქნება ის, ეშმაკი თუ ალქაჯი, ვინც საქართველოს ტერიტორიას დაიცავს, ჩვენს თანაგრძნობას მუდამ მიიღებს. ხოლო ვინც ამ ეროვნული საკუთობით პირადი მიხნებისათვის ვაჭობას დაიწყებს, ანგარიშს არ გაუწევს ჩვენს ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს და საქართველოს ეროვნულ თავმოყვარეობას ძელი დანა-ჩანგლის კომისიონერ ბამატს გაათელვინებს, ამირეჯიბი იქნება ის, ავალიშვილი თუ კიდევ სხვა, უფრო დიდი თუ უფრო პატარა — ჩვენ მას შევებრძობებით მთელი ჩვენი არსებით.





მენშევიკების გავლენის მაჩვენებელს ჩვენს ჟურნალში ამირეჯიბი ერთ სიტყვასაც ვერ დაასახელებს. ჩვენ არა ვართ ჩვეული ამირეჯიბის მსგავსად მარტის დარჩევით ცვალებადობას. მენშევიკების შეფასებაში დავრჩით იმავე აზრის, რაც გვქონდა მთელი ამ წლების გასწვრივ. ჩვენი ხაზი არ იყო პიროვნული დავისა და გაბოროტების შედეგი, არამედ მენშევიკური პოლოტიკის სრული და ობიექტიური ანალიზიდან გამომდინარე. ეს ჩვენი რწმენისა და საქართველოს ინტერესების გაგების საკითხია, ამიტომ აქ რაიმე კომპრომისი ჩვენი შეგნების საწინააღმდეგო აქტი იქნებოდა. ასეთ შემთხვევასკი ჩვენს წარსულში ამირეჯიბი ვერ მოსძებნის. რწმენისა და სინილისის სფეროში ჩვენ დათმობა არ ვიცით. ჩვენ ვმიშობთ, რომ ამის თქმას ვერ შეხსლებს ამირეჯიბი; და აი რატომ: არც ერთ სოციალ-დემოკრატს ბ-ნი ნოე ჟორდანიას იმდენი არ უჭია, რამდენიც ამირეჯიბს — ყველას ახსოვს, რომ მას დავით აღმაშენებელს აღარებდა. ჟორდანიას-რამიშვილი მას ტიკინასავით ათამაშებდნენ. მათი ბრძენებით ამირეჯიბი ყელსაკინძს ახედა ფრონტის მოწინააღმდეგებს. მათივე ბრძენებით ამირეჯიბი ყალბ დოკუმენტებსაც აკეთებდა. შალვა ამირეჯიბი ექსპერტი ბრძანდებოდა ამერიკელებისათვის, საქართველოში არ არსებული ორდენის შესახანხლად!

რამდენად თავის ერთგულ კაცად მიაჩნდათ მენშევიკებს, იქიდანაც სჩანს, რომ ჟორდანიას-რამიშვილის ცნობილ წერილებში ამირეჯიბს ხოტბას ასხავდნენ — თავისიანებს ავალებდნენ ამირეჯიბს საქართველოში პარტია დაუარსეთო!

დღეს ყველა ვხედავთ მის დამოკიდებულებას ამავე ხალხთან. როდის არის გულწრფელი, როდის მოქმედებს რწმენისა და სინილისის კარნახით? ენლა თუ მაშინ? როდის ვაიგო მან, რომ მენშევიკებს ცული პოლიტიკა ჰქონდათ?

ჩვენს ჟურნალში უკვე იყო აღნიშნული თუ როგორ მოექცა ამირეჯიბი ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილს — ამირეჯიბმა მენშევიკები დაიცვა! ამის მოგონება მას არა სიამოვნებს, მაგრამ ეს ხომ არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ამირეჯიბი ქაქუცას მტრობას უწყევდა. ამირეჯიბი მენშევიკების ცენტრში ბრძანდებოდა, როცა ამ „ცენტრმა“ ქაქუცას დახმარება მოუსპო. ამ ცენტრის ზოგიერთმა წევრებმა (სოციალისტებმა!) ამირეჯიბი წინააღმდეგ გაატრთხილეს — ქაქუცას დაცვა შენ უფრო შეგფერის, დაიცავი და ჩვენ მხარს დავიჭერთო. ამირეჯიბმა პირი შეიკრა, კრინტი არ დასძრა. ქაქუცა არ დაიცვა. მენშევიკებმა თავისი დადგენილება ერთხმად გაიყვანეს. იმავე ხანებში ამირეჯიბი მისი ჩვეულებისამებრ კულისებში, მალულად, ქაქუცას საწინააღმდეგო პროპაგანდასაც ეწეოდა. რა გააჭირეს საქმი, რა გახდა ეს ქაქუცა „въ концѣ концовъ, онъ есаулъ“! — ეს უთქვამს მას არა ერთ ადგილას და თუ დღეს უარყოფას გაბედავს, ჩვენ მოწმებით დავამტკიცებთ. ამირეჯიბი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც ემიგრაციაში ქაქუცას წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. ამ მხრივ ცვაფრია ამირეჯიბისა ღირსეული შემკვიდრება. ასეთი ადამიანი დღეს ნიანგის ცრემლებს აფრქვევს და უსირცხვილოდა ბედვეს თავისი თავი ქაქუცას შეგობრად გაასაღოს. უნაყოფო ცდაა, ქართველობა კარგად იცნობს ამ გულშხამიან არსების ორპირობასა და ვერავგობას.

ამირეჯიბი მუდამ იმის ძიებაშია ვისგან პირადი სარგებლობა ნახოს, და იმას აქებს ვისგანაც ხეირს მოელის. მთელი თავის სიცოცხლე საკუთარი შრომით მას ლუკმა პური არ უჭამია, მუდამ კარი-კარ უვლია: „ვისი ქერიც მაღალია, შალვა იმის მყარია“! აი ნიმუშებიც: არ არსე-



ბობს სიბინძურე, რომელიც შალვა ქარუმიძეზე ამირეჯიბს არ ეთქვას. სხვებსაც არწმუნებდა მას ახლოს არ გაჰყარებოდნენ. მენშევიკების ერთგულმა ამირეჯიბმა ერთჯერ შ. ქარუმიძეს სალამიც კი არ მისცა. ხოლო მოკლე დროში სავესებით შეიცვალა — შ. ქარუმიძეს ჯამაგირი გამოსთხოვა და საკმაოდ დიდ ხანს მის ხარჯზე სცხოვრობდა (სულ ბოლო დროს, ბამატის აყვავებამდე). მას იმდენად დაავიწყდა მისივე ნათქვამი, რომ პარიზიდან ქარუმიძესთან გადასახლებაც გადასწყვიტა. გზის ფულიც მიიღო (არა ერთხელ!) და რომ ბანქოს ჩითვაში ბედს არ ემტყუნა, ამირეჯიბი პარიზიდან წასული იქნებოდა.

ბ-ნი ალ. ასათიანი მენშევიკების ფრონტში შევიდა. ამირეჯიბმა პოლონეთიდან გადმოსახლების ნიადაგზე მენშევიკების წინააღმდეგ გაღიზიანებულმა ალ. ასათიანის ეს ტაქტიკა არ გაიზიარა და მენშევიკურ ფრონტს ბრძოლა დაუწყო. გამოდის ამირეჯიბი ასოციაციის კრებებზე და ლანძღავს მენშევიკურ ფრონტს, ამბევ დროს, როგორც ალ. ასათიანის ბიუროს წევრი, ის იღებს ყოველთვიურ ჯამაგირს ბ-ნი ასათიანის მიერ ამ ფრონტში მიღებული თანხებიდან. ბ. ა. ასათიანი მასაც აძლევს თავის წილს. როცა ამირეჯიბს, კერძოდ ამ საქციელის ულამაზობაზე უთითებენ, ის ბრძანებს: — მე ასათიანისაგან ვიღებ ფულს და ის სად იღებს მე არ მეკითხებაო. ასევე იქცევა ის დღესაც: — მე ბამატისაგან ვიღებ ფულს, და არც ვეკითხები სადა შოულობს. თუ ცუდი წყაროა პასუხისმგებელი ის იქნებაო... ერთი სიტყვით, ოღონდ ფული მიეცით და სულ ერთია ვისგან და რა გზით იქნება ნაშოვნი — ფულს ხომ სუნი არ უდის!

ასეთი კაცი თავის თავს პოლიტიკურ მოღვაწეს უძახის და სხვების კრიტიკასაც ჰბედებს!

ზოგჯერ ამბობენ — პოლიტიკა არ არის სუფთა ხელობაო. ეს შეცდომაა. პოლიტიკა საზოგადოებისათვის სამსახურია; პოლიტიკური მოღვაწეობა ერის, ხალხის ინტერესების დაცვაა, მაგრამ როცა ამ საქმეში ამირეჯიბის ტიპის ადამიანები ერევიან, მათ საზოგადოებაში მორალური გახრწნილება შეაქვთ. ასეთი ტიპები ზნეობრივ საფუძველს ურყევან საზოგადოებრივ შენობას და ბოლოს და ბოლოს საქმე დაღუპვამდე მიჰყავთ. ამის ნიშნები ქართულ ემიგრაციაშიც საკმაოდ არის. რათა ღირს თუნდაც ეს მაგალითი: ვიღაც ღვთის ნაცოდვილარი ელექტორტი, ემიგრაციაში გამაჰმადიანებული ოსი, რუსულად მოხსენებას ჰკითხულობს კავკასიურ პოლიტიკაზე და სხვათა შორის ბრძანებს: ტფილისში როსკიპობა იქამდის მივიდა, რომ დედები თავიანთ მცირეწლოვან ქალიშვილებს ერთ წყვილ წინდებთან აქირავებნო. ვინ არიან ეს ტფილისელი დედები? ცხადია, ქართველი დედები! ამას ყურს უგდებს ამირეჯიბს გარდა რამდენიმე სხვა ქართველიც და, დასასრულს, მომხსენებელს მხურვალე ტამით აჯილდოვებენ! შეიძლება ქართველი კაცი ამაზე დაბლა დავიკეს?

ყოველ მოგონებას თავისი ლოლიკა აქვს. ამირეჯიბის დღევანდელი მოღვაწეობა უდიდეს საფრთხეს უმზადებს არა მარტო რომელიმე კუთხეს; არამედ მთლიანად საქართველოს დამოუკიდებლობას — კავკასიაში ქართველების კანონიერ უპირატესობაზე რომ არაფერი ვსთქვათ — ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის დასკვნა, ტფილისის ოსმალეთისათვის გადაცემა იქნება! სხვა შედეგის დაშვება თავის მოტყუება, ან საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა იქნება. მეტის თქმაც შეიძლება: თუ ამირეჯიბი დღევანდელი საქმიანობის ლოლიკას არ უღალატებს, ის ასკერებს უნდა შემოუძღვეს საქართველოს დასაკავებ-



ბლად — ეს იქნება ბუნებრივი დაგვირგვინება „კავკასის“ პოლიტიკისა! ბამატს ვერ გაუმტყუნებთ ოსმალეთის კავკასიაში შემოყვანის სურვილს. ვინ გაამტყუნა, მაგალითად, ზეის-ინკვარტი გერმანელების ავსტრიაში შეყვანისათვის? ბამატი კავკასიის ინკვარტობაზე ოცნებობს — ამირეჯიბი მას ტაშს უკრავს! ზის და სთარგმნის ბამატის სტატიებს რუსულიდან ქართულად და ქართულ გაზეთებს რუსულად. ეს არის მისი ფუნქცია. ამისათვის იჭირავა ბამატმა. პოლიტიკა ბამატის მონოპოლია! აქ ბამატი მბრძანებელი და ბატონია. ამირეჯიბს კვერის დაკვრა ევალება და ბამატის პოლიტიკის ქრთველში ვატანა. საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ ლევი ქართულ პოლიტიკას მეთაურობს! მერე როგორ?! ქართული გაზეთის მეთაურობსაც არავის აწერინებს. ჩვენი თვალის ასახვევად რიგით მაინც დაწერათ! მაგრამ ბამატს არა სჭირდება ბატონობის სურვილის დაფარვა. ამირეჯიბმა მისი პატრონობა მიიღო და ერთგულ ლაქიასაგით თვალეში შეჰყურებს.

საწყალი, საბრალო ამირეჯიბი! გულწრფელად ვწუხვართ — ვერც ერთ ქართველს ვერ გავიმეტებთ ასე ცოცხლად, თავისი თავი დაიმარხოს. ქართველი მოღვაწე, რომელიც დღემდე ყველას პირველობას ედავებოდა — დღეს ბამატის მორჩილი მსლებელი! ქართველები ვერ მოიგონებენ შემთხვევას, რომ ჩვენი თავადები ლეკის ჩაფრები ყოფილიყვნენ, მუდამ პირიქით ყოფილა. მაგრამ რა უგავს ამირეჯიბს ქართველ თავადებს? რა აქვს მას საერთო დიდებულ კოტე აფხაზთან და მით უფრო ქ. ჩოლოყაშვილთან? ამირეჯიბი ქართველი თავადის კარიკატურაა. ულაზათო, უშნო კარიკატურა. განგებას უნებებია ლუბრსაბ თათგარძის მუქთახრობის და უტეინობის, დათიკოს ვერაობა-დაუზოგველობის და თეიმურაზ ხევისთავის სულიერ თვისებათა სინთეზი ერთ პიროვნებაში მოეცა. თეიმურაზ ხევისთავსაც პოლიტიკოსის პრეტენზიები ჰქონდა! იმავე განგების რისხვა უნდა იყოს, რომ ეს პიროვნება ემიგრაციაში მოგვევლინა ჩვენი ცხოვრების ასაფორიაქებლად და ნაციონალისტური ბანაკის დასაშლელად.

ქართველობა ამასაც აიტანს. ქეყანა, რომელმაც სამი ათასი წლის ბრძოლას გაუძლო, ალბათ გაუძლებს ბამატ-ამირეჯიბსაც. ის კია, რომ საქართველომ მტრის ბანაკში გადასულთა პატიება არ იკის. ვახტანგის კანონებში ასეთი შემთხვევა საგანგებოდ არის გათვალისწინებული. ეს კანონები ქართული მორალის ანარეკლია და ეს მორალი დღემდე უცვლელია. ამის ცოცხალი მაგალითია მონპელიეს შემთხვევა. მონპელიეს ქართველობა ზურაბ ავალიშვილის ნაშრომს საჯარო კრებაზე სწავას! ეს „აუტოდაფე“, აუფგოთებული, უკვდავი ქართული სულის პროტესტია. უკომპრომისო ეროვნული სულის!

აღსანიშნავია, რომ ამირეჯიბი მისი პატრონის პოლიტიკამ ძალიან დაუახლოვა საქართველოს მეორე მტერს — საბჭოთა რუსეთსაც. ბამატ-ამირეჯიბის „კავკასი“ ერთად ერთი ემიგრანტული ორგანოა, რომელმაც იცნო და მიიღო საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შედეგები. ეს მოსკოვის საქართველოში ბატონობის სანახევროდ (ნობაა. ცნობა და მიღება მოსკოვის პოლიტიკის სწორედ იმ პუნქტის, რომელიც ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით საქართველოსათვის განსაკუთრებულად საზიანოა. რა აშორებს არსებითად „კავკასიას“ ბოლშევიკებისაგან? რეჟიმისა და თავმოყვარეობის საკითხები? ეს ხომ არ არის პოლიტიკური, პრინციპალური წინააღმდეგობა. ამას ვერ დაფარავს „კავკასის“ ანტიკომუნისტური ფრაზეოლოგია.



საყურადღებოა ამირეჯობის საბუთიც მისი მოქმედების გასამართლებლად. თურმე 1921 წელს ნ. ჟორდანიას მთავრობას უკვე დაუთმია ოსმალეთისათვის ის ტერიტორია, რომელზედაც უადგილოთა და უდროვოდ დავა ასტეხა ბამატმა. მაშასადამე, „კავკასის“ თეზის თანახმად, ამირეჯობი მხოლოდ ადასტურებს ჟორდანიას მთავრობის აქტს. დაუშვათ, რომ „კავკასია“ მართალსა სწერს. დაუჯეროთ ამირეჯობ-ავალიშვილის სიტყვას, რადგან უდაო, ობიექტიური დოკუმენტი დღემდე არ გამოქვეყნებულა. ვენდოთ მათ ნათქვამს და მივიღოთ მათი დებულება. ამ შემთხვევაში, ამირეჯობ-ავალიშვილი დღეს, სულ სხა პირობებში, ნებაყოფლობით იმეორებენ იმ დანაშაულს, რომელიც ჟორდანიას მთავრობას 1921 წელს ჩაუდენია. ეს „ნაციონალისტები“ ზურგზე იკიდებენ მენშევიკების პოლიტიკური შემკვიდრების უმძიმეს და უარეს ნაწილს და ჟორდანიას მოღვაწეობის პასივს (ეროვნული ტერიტორიის შემცირება) საკუთარ დროშად იხდიან! თუ მართალია „კავკასის“ დებულება, თუ მართალი ბრძანდება ლენინალ კვინიტაძე, მაშინ ხომ ისა და მისი მეგობრები მენშევიკების შემკვიდრებები, ჟორდანიას პოლიტიკის გამგრძელებლები ყოფილან? რაღათ ვებრძოდით მენშევიკურ პოლიტიკას, თუ ჩვენც მათ გზას გავყვებით?

„კავკასის“ მტკიცებით ბ-ნ ჟორდანიას მთავრობას ეს ტერიტორია დაუთმია ოსმალეთისათვის ბოლშევიკების წინააღმდეგ დახმარების საკომპენსაციოდ. ღენ. კვინიტაძე ადასტურებს, რომ ჟორდანიას მთავრობა ოსმალეთის დახმარებას დღე-დღეზე ელოდაო. ცხადია, თუ ოსმალეთთან შეთანხმება მართლა არსებობდა, მისი ძირითადი და მთავარი პირობა, სწორედ რუსეთის წინააღმდეგ დახმარების მიღება ყოფილა.

დღეს-კი ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთი საქართველოს, მეტი რომ არა ვსთქვათ, არ დაეხმარა. ე. ი. დაპირება, შეთანხმების ძირითადი პირობა, ოსმალეთს მაშინვე დაურღვევია. ეს ფაქტი მეორე მხარესაც ანთავისუფლებს შეთანხმებით ნაკისრებ ვალდებულებათაგან. მაგრამ ვსთქვათ, რომ წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპისა, ეს შეთანხმება (თუ არსებობდა?) ერთი მხარის მიერ დარღვევის შემდეგაც ძალაში დარჩა საქართველოსთვის. დღეს თვით ბ-ნი ჟორდანიას ე. ი. შეთანხმებაში მყოფი მეორე მხარეც ამ აქტის ცნობაზე უარს ამბობს. ამრიგად: ჯერ ოსმალეთი — პირობის არ შესრულებით — და შემდეგ საქართველოც (ყოფილი, ამ შეთანხმების დამდები მთავრობის სახით) ამ შეთანხმებას არ არსებულად აცხადებენ. რაღა იურიდიული ღირებულება აქვს ასეთ შეთანხმებას?

ამირეჯობისათვის იურიდიული კანონები ჩინური ანბანია, მაგრამ ბ-ნი ავალიშვილი ხომ კარგათ იცნობს ამ საკითხებს? რითი აცხსნათ მისი ასეთი მოწადინება ოსმალური თეზის და არა ქართლის დასაცავად? ვის ინტერესებს იკავს ის, როცა ასე თავაშობებით გვიმტკიცებენ ამ შეთანხმების არსებობას? ვის ინტერესებს შეადგენს ამ შეთანხმებისა და ბოლშევიკების ყარსის ხელშეკრულების ხელუხლებლად შენახვა? აქ გამოსაცნობიც არაფერია — ყველაფერი ნათელია.

ამირეჯობის ზნეობრივი „ფორთეისათვის“ დამახასიათებელია ალ. მანველიშვილის შემთხვევაც. ჯერ იყო და დიდის ამბით, „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორიტეტად გამოიყენა და მისი აზრი თავისი დებულების დასამტკიცებლადაც გამოიყენა. მერე, ლეკემბრის საპროტესტო კრებაზე მანველიშვილის არ დასწრება პირველხარისხოვან პოლიტიკურ მოვლენად დაგვისახა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ელაქუცა „კავკასიში“ წასაყვანად, და როცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა — ეხლა ქუჩის



ბიჭივით, ხულიგნურ, უცენზურო სიტყვებსაც აღარ ერიდება მის სალანძღვად! ამ პატარა ამბავშიც მოსჩანს ამირეჯიბის კაცობა. ასეთი იყო ის მუდამ და ასეთია დღესაც.

„ყორანს სუნი სდიოდა და ბუდეს იცვლიდა“ — რას უშველიდა ბუდის გამოცვლა?! ამირეჯიბი საცა არ უნდა წავიდეს, მუდამ დარჩებოდა იყო: უტვინო, შურითა და ღვარძლით სავსე ინტრიგანი.

ს. ქართველი

„კავკაზის“ რედაქციაში

აღ. სუმბათაშვილის „ლალატი“-დან გადაკეთებული პირველი სცენის პირველი გამოხვლა.

სულეიმან-ხანი — ჰაიდარ ბამატი.

ოთარ ბეგი — შალვა ამირეჯიბი.

ყარა იუსუფი — სევერიან ურუშაძე

ალრაზაკი — იოსებ გვარამაძე.

სამი კარისკაცი — ელ. ვაჩნაძე, გ. ჭაჭიაშვილი, ს. ყრუაშვილი.

**ბამატი** — დიდ არს ალაპი!

**სამი კარისკაცი** — (თვედახრით) დიდ არს ალაპი!

**ბამატი** — ფადიშაჰ საყვედურს მითვლის, მე, უფროალ „კავკაზის“ მბრძანებელს. იმისი რისხვის ჭექვა შორიდან ჯერ ყრუდ მოისმის. ჩვენ ყველანი მის ფერხთა მტვერი ვართ.

**სამი კარისკაცი** — მის აჩრდილს მთელი ქვეყანამც დაუჩრდილავს!

**ბამატი** — გურულების ცბიერი მეთაური ქართველთ შორის მალულად კაცებს ალაპარაკებს, უწმინდურ ქრისტიანებს აგულისებს და იმედებს უღვიძებს.

**ამირეჯიბი** — მელა და ტურაც გამძლარან იმათის სისხლითა!

**ბამატი** — თვალით შორს ვხედავ და ყურიც მახვილი მაქვს (ამირეჯიბს გადახედავს) გორის ერისთავო! ჩემი იმედი ქართლში შენა ხარ. შენი სიტყვები მშენას მიტკობენ, მაგრამ გულში-კი ლალატა ჰფარავ!

**ამირეჯიბი** — მბრძანებელო! შენი სიმართლის მსხვერპლი შევიქნე, არას ვინაღვლი! შენი რისხვა ჩემთვის — მოწმენდილ ცაზე მეხის ტეხაა. ჩემი გული შენსა სამსჯავროს წინაშე უმანკაა.

**ბამატი** — შენ რომ წყვიდიადს განუდექ და ისლამის სინათლე მიიღე, მეც დაგივიწყე მენშევიკებთან ერთად ერთი ჯამიდან ჭამა და ქართლელთ შორის ჩემი ბატონობა, შენ, ახლად რჯულშეცვლილ მონას ჩაგაბარე.

**ამირეჯიბი** — მახვილო ფეხამბარისავ! შენი წყალობის სამაგიეროდ ნოე ყორდანია შეემუსრე, რომელზედ ოდესმე ვლოცულობდი!... ჩემს მამა-პაპათ აკლდამების კამარა ზედ დავანგრეე და ეხლა იმათ სა-



ფლავზე მგლები ღმუვიან! მახლობელთ თუ შორებელთ არავის ვინ-  
დობ! გუშინ არ მეუბნებოდი ჩემი ცეცხლი და მახვილი ხარო? ჩემი ხე-  
ლით არ არის, რომ უწმინდური მენშევიკებისა და ნაციონალისტების  
სისხლი აგერ ორი წელიწადია სენის წყლებსა ჰღებავს და იმ სისხლს  
განა ჩემი მეგობრებისა და ნათესავების სისხლიც არ ურევია? არტაან-  
ართვინ-ოლთისი ოსმალეთს ვაჩუქე, ბათუმსაც ვაძლევ! კარებს ვუღებ  
კავკასიაში ოსმალეთს! და ყველაფერს ამას ჩავდივარ შენი ბრძანებითა  
და შენდა სასახელოდ. მე, ტომით ქართველმა, ჩემი იდეალები და მის-  
წრაფებანი დავივიწყე, გავთელე და ჩემი წარსულიც შებოჭვილი, და  
დამონებული შენს ფერხთა წინაშე დავამხე. თუ ესეც ცოტაა, ან არა  
გნებავს გაიხსენო, — მაშ ჩემი გახრეკილი თავიც შეიწირე მსხვერპლად!  
ჯალათს უბრძანე მომაკვდინოს, ძლიერო ბამატი! (ფეხებში ჩაუვარდება)

**ბამატი** — კახეთის ერისთავი ზურაბ ავალიშვილი შენზე უფრო  
ერთგულია. მან მთელი მეცნიერება გადააბრუნა და დაამტკიცა, რომ  
სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთს უნდა ეკუთვნოდეს! მა-  
გრამ ჩემი დამლუპველნი არიან რასულ-ზადე და სულეიმანოვი. ფაღი-  
შაჰს მეტ ძღვენს უგზავნიან, კავკასიაზედ მეტს პირდებიან და ყველა  
ძღვენის ვაგზავნაზე ცილსა მწამებენ, მახეზლებენ, თავი რით გავიმარ-  
თლო, რას მიჩრჩევ?

**ამირეჯიბი** — (წამოდგება) შენი კალამის ძლიერებითა დიდო ბა-  
მატო!

**ბამატი** — (დაფიქრებით) ძალა მარტო კალამი როდია!

**ბ. ურუშაძე** — მეფე სოლომონის სიბრძნე, ჩვენი მბრძანებელის  
სიბრძნესთან მტვერია!

**ბამატი** — რასულ-ზადე და სულეიმანოვი ფაღიშაჰს უძღვენან  
მთელი კავკასიის გარდა ყირიმსაც, თურქესტანსაც, მონღოლეთსაც; მას  
ფეხებში უბობლავენ და მე ძირს მითხრიან. სად იყვნენ ეს მხდალი ძა-  
ლლები, როდესაც მე საქართველოს ვაჟკაცთ მათი ცოლშვილით, რო-  
გორც ჭირი მუსრს ვავლებდი?! აფხაზეთი განა მე არ მოვსთხოვე საქა-  
რთველოს და განა მე არ შემოვუძეხი ოსმალეთს აფხაზეთში?! განა სა-  
ზავო კონფერენციაზე მე არ ვებრძოდი საქართველოს?! განა კიაზიმ-  
ბეის ერთგული კაცი მე არ ვიყავი? განა მე არ ვაძლევდი მას ყველა  
ცნობებს და მე არ ვურჩევდი ბათუმშიც დაეკავებინა?! განა კახეთის თა-  
ვადი ზურაბ ავალიშვილი მე არ დავუმონე ფაღიშაჰს? განა ქართლის  
თავადი გრიგოლ დიასამიძე მე არ შევეკარი და მივართვი მას? განა აფ-  
ხაზეთის ერთგული თავადი ლადი ემუხვარი მე არ დავუპყარი მას? განა  
ლალო ახმეტელიც მე არ გავამაჰმადიანე? განა საქართველოს მთავარ  
სარდალი მე არ მოვარჯულე და ჩემი ლაშქრის მეთაურობა მივალედი-  
ნე? განა უძლეველი გენერლები დავით საღორაშვილი და იოსებ გვარა-  
მაძე მე არ დავამარცხე? განა ელიზბარ ვაჩნაძეს და სამსონ ყრუაშვილს  
მე არ ვასწევლე წერა და სტატიების გამოცხობა? განა მემაწვენე მიშა  
კელიაც მე არ გავაპუბლიცისტე?!  
**ბ. ურუშაძე** — ძლიერს წინ ვინ დაუდგება?!

**ი. გვარამაძე** — ალაჰის მომსრავი ხარ სწორუბოვარო ბელადო!

**ამირეჯიბი** — თვალეზიც დასდგომია შენს მტერს!



**ბამატი** — (თავჩაქინდრული) აი, ეს არის ადამიანის დიდება! მე აქ ჩემს ტახტზე ვზივარ, ქართველებს კი ჩემი ძალა დაავიწყდათ!

**ამირეჯიბი** — ჩემი ერთგულება გამოსცადე დიდო ბამატო! მთელ ქართლს ავასხამ იარაღს, ზუგდიდსა და ლანჩხუთს მივადგები, ნოე ჟორდანიას და სპირიდონ კედიას ერთ თოკით შევკვავ, აქ მოგვკრი და შენს კარების ბჭესთან დავკიდებ. ერთი კი მიბრძანე და ფიცხლავ ვეცე-მი ერევანს და ჯამალიანის თავსაც თბის გუდით გამოგვიზავნი. ნუ თუ ვერ დავიმსახურე შენი სრული ნდობა? განა მე არ ვებრძვი გურიასა და სამეგრელოს? განა მე არ ვამტკიცებ, რომ გურიამ დაღუპა საქართველო და მეგრელები კიდევ, ქართველები არ არიან?! აბა ვინ დაამტკიცებს წინააღმდეგს? განა მე, ძველი მონარქისტი არ ვებრძვი მონარქისტებს იმიტომ რომ იმერლები არიან? განა ჩემს სიცოცხლეში როდის-მე ამდენი მიმუშავნია? ვთარგმნი რუსულად, ვთარგმნი ქართულად, ვასწორებ წერილებს, ვსწერ სხვის მაგიერად, ვლანძღავ და ვათრევ ყველა შენს ორგულს! განა მე პირველმა არ შეექენი ისეთი პრესა, სადაც ყურმოკრულ საუბარს, სუფრაზე ნათქვამს და კაფეში გაგონილს ვბეჭდავ? მართალია ღვინის სმას ჯერ ვერ გადავეჩვიე, მაგრამ ღვინო თავს მიხურებს და ისლამის სადიდებლად მკლავში ღონეს მძღლევს — რამდენსაც ღვინოს დავლევ ორი იმდენი მეღანი უნდა დავღვარო, ეგების ფეჭხამბარის სასწორზე ამან მაინც გადმოხაროს ჩემსკენ მისი წყალობა და კურთხევა. მართალია რუსების კლუბში ქაღალდსაც ვჩითავ მაგრამ ვიაურების მოტყუება ზომ ცოდო არ არის! თუ ამისათვის შენი რისხვა მიწერია — ამავე ღიმილით მოვკვდები, რადგან შენს წინაშე სინიდისი წმინდა მაქვს! მართალია, ყოვლისშემძლე ბამატო, ფულსაც ბევრს მძღლევ, მაგრამ განა სხვებსაც არ აძლიე რომ უარი სთქვეს?! მაშ, ნულარ ექვობ, გვიბრძანე რომ შენს მტრებს შევესიოთ!

**სამი კარისკაცი** — (ერთხმად) გვიბრძანე ძლიერო!

**ბამატი** — მოვა დრო და მივისევთ კიდევ! ჯერ-კი ადრეა.

ანანია



## წერილი მონპელიედას

ბამატის ქართველი თანამშრომლები დიდ აქტივობას იჩენენ. საცა-კი ქართველები ეგულებათ, ყოველგვარ ზომებს მიმართავენ მომხრეები გაიჩინონ. ბ-ნ ამირეჯიბს საკვირველი, დღემდე უხილავი ენერჯია აღმოაჩნდა თურქული საქმის საკეთებლად. სხვათა შორის, ის შეეცადა მონპელიეს ქართულ კოლონიას „კავკაზის“ სასარგებლო დადგენილება მიეღო.

მონპელიეს ქართველობას ამ საკითხის გასარჩევად საგანგებო კრება მოუწვევია და სათანადო დადგენილებაც მიუღიათ. ვათავსებთ ამ კრების ანგარიშს.

რედ.

ამა წლის მარტის 6-ს, შესდგა მონპელიეში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო მოხსენება ბ-ნ დ.



ხარისკირაშვილის შემდეგ თემაზედ: „კავკასია და ბამატოლოგია“.

მომხსენებელმა ზოგადად განიხილა საქართველოს და კავკასიის პოლიტიკური ისტორია, კავკასიის ერთა ურთიერთობა ეროვნულ გამანთავისუფლებელ ბრძოლების დროს, ამ ბრძოლების ანტირუსული ხასიათი და ამ ნიადაგზე კავკასიელ ერთა სოლიდარობა. მომხსენებლის აზრით, ჩვენი ბრძოლის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელია კავკასიის მეზობელ ერებთან მეგობრული ურთიერთობა, რაც საშუალებას გვაძლევს კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებთან ღირსეული დამოკიდებულება დავამყაროთ. რაც შეეხება ბ-ნ ბამატს და მის თანამოაზრე „მეცნიერ“ თუ „მგოსანთა“ პოლიტიკას, მონპელიეს ქართველი საზოგადოება მას სამარცხვინოდ სთვლის. „კავკასის“ მიერ აღებული ხაზი, მიმართული კერძოდ საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ, ამავე დროს კავკასიის სხვა ერთა საზარალო და ღირსების შემლახველია, რაც უპირველეს ყოვლისა სასარგებლოა საბჭოთა რუსეთისათვის. ქართული ღირსების შელახვა რუსეთმა 1921 წ. საქართველოს აოხრებით დაიწყო, ხოლო მეორე ნაბიჯი იყო სწორედ ის ყარსის ხელშეკრულება, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავენ ბამატი და მისი ქართველი თანაშრომლები. რუსეთის მუდამ ყამს გამცემლურ პოლიტიკას უნდა დაუპირისპირდეს კავკასიის ერთა ეროვნული ძლიერება, დამყარებული თვითეული ამ ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განვითარებაზედ, ურთიეთ გაგებაზედ და არა ერთმანეთის დაკნინება დანაწილებაზედ. ასეთ კავკასიას არ გაუჭირდება მეგობრული ენის გამონახვა აღორძინებულ ოსმალეთთან და ირანთან. დასასრულ, მონპელიეს ქართველი საზოგადოება აღმფოთებას გამოსთქვამს ბამატისა და მის ქართველ თანაშრომელთა საქართველოსათვის საზარალო საქმიანობის გამო და ნიშნად პროტესტისა საჯაროდ სწვავს ზ. ავალიშვილის სტატიას: „ირედენტისმი და კავკასია“.

ირ. მკვდელიშვილი

### „კავკასია“ სტაჟის!

ჩვენმა პატივცემულმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ჟურნალი „კავკასია“ ცილისწამებისათვის საჯარო სასამართლოში გამოვიწვიეთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჟურ. „კავკასია“-ს რედაქციამ მიუდგომელი საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე წარდგომა ვერ გაბედა და ამით ჩვენი დასკვნა დაადასტურა: — „რომ „კავკასია“ საქართველოს მტრის თანხებითა და დავალებით ეწევა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან ბრძოლას“ და რომ „ბამატის ჯგუფის სახით ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს მტრების მიერ დაქირავებულ აგენტებთან“ (იხ „ახალი ივერია“ № 9).

ამ მძიმე ბრალდებას ჟურნალ „კავკასიამ“ გვერდი ჩაუარა, უპასუხოდ დასტოვა და თავის დასაძვრენად ახალი სიყალბე შესთხზა. ბ-ნი ამირეჯიბი ტყუილებით სცდილობს ფონს გასვლას! ის ბრძანებს:

...„არავის და მით უმეტეს შ. ამირეჯიბს არავინ ურწმუნებია, რომ





გერმანია და იაპონია გვაძლევს დახმარებასო — ეს ამბავი „ახალი ივერიაში“ მოგვიგონა და გვაბეზღებსო.

ჩვენ კვლავ ვიმეორებთ ჩვენს მიერ თქმულს და ვამტკიცებთ: ამირეჯიბი და მისი მეგობრები ქართული „კავკასია“ს გაჩენიდან დღემდე, ქართველებს (სიტყვიერად) აჯერებენ, რომ მათ კავშირი აქვთ გერმანია-იაპონიასთან და, რომ ყურნალ „კავკასის“ გეზი ნაკარნახევია ამ ქვეყნების პოლიტიკით. ამირეჯიბსა და მის მეგობრებს დემაგოგიური ფორმულაცა აქვთ შემუშავებული: — „ქართველებმა უნდა აირჩიონთ მოსკოვსა და ბერლინს შორის. ვინც ბერლინის პოლიტიკის მომხრეა, ჩვენთან უნდა იყოსო.“

ამირეჯიბი და მისი მეგობრები ამ ფორმულას ისე ხშირად იმეორებენ, რომ პირველ საჭიროებისთანავე ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მრავალი მოწმე, რომელნიც ამ ცნობის სისწორეს დაგვიდასტურებენ. დღეს მათ არ ვასახელებთ შეგნებულად. დავასახელებთ შემდეგ ნომერში, თუ „კავკასიამ“ ამ ცნობის უარყოფა სცადა თუნდაც მიკიბულ-მიკიბულად.

შ. ამირეჯიბს ისევ არჩევანს უყენებთ: ან ჩაჩუმდეს და ყოველგვარი კამათის გარეშე დაგვიდასტუროს, რომ სიყალბე შესთხზა და „კავკასიის“ მკითხველი შეგნებულად შეცდომაში შეიყვანა; ან, ჩვენ იძულებული ვიქნებით სიმართლის აღსადგენად გადმოვშალოთ საქმის ვითარება, დავასახელოთ ყველა მოწმეები, და ჩვენი ცნობის სისწორე საჯაროდ დავამტკიცოთ.

„კავკასიას“ ვაფრთხილებთ ქართველი საზოგადოების გასაგონად, რომ ასეთი ნაბიჯი ჩვენს მიერ გადადგმული იქნება კანონიერ თავდაცვის მდგომარეობაში, იძულებით, და მაშასადამე, პოლიტიკურ თუ სხვა სახის შესაძლებელ შედეგებზე პასუხისმგებლობა თვით „კავკასია“ს დაეკისრება.

რედაქცია

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

### I

მაღალია, სახით შავი,  
თავ წვრილი და კისერ გრძელი,  
პოლიტიკობს საცოდავი,  
პოეტია თუმცა ძველი.

ჰკუთით მცირე, ზრახვით დიდი,  
შურიანი, ღვარძლიანი,  
კარგად ზრდილი, მაგრამ ფლიდი  
და ცვალებად სიტყვიანი.

მას სახელი ჰქონდა დიდი,  
დაფასებაც შესაფერი,  
დღეს მოშვიდა, სახელს ჰყიდის  
და გაჰყიდა მასთან ერი.

### II

სახით იგი უცხოს ჰგავდა  
მაგრამ მოდგმით ჩვენი იყო

უცხოელი რას გვიზავდა,  
სისაძაღლეს რაც მან გვიყო.

ეს ის გახლავთ: ავთანდილი  
ბალეტის ვაჟს რომ ადარა,  
ტარიელი ფრიად ზრდილი,  
რომ გაგვირყვნა, დაგვიმდარა.

სწავლულია და დიდ თავა,  
ლოთ რუსივით წითელ ცხვირა,  
ვინც ფულს მისცემს მასთან წაევა,  
„ცოდნას“ ჰყიდის არა ძვირად.

მას, ვინც მარტო ცოდნას ჰყიდის  
ვერვინ ეტყვის საყვედურსა,  
მაგრამ იგი სხვა გზით მიდის,  
ერსაც ჰყიდის უბედურსა.





## III

მხედარია თვით უბადლო,  
სიამაყე ჩვენი ჯარის;  
მასაც უნდა დავუმაძღლოთ,  
„გადარჩენა“ ჩვენი მხარის.

მისებრ არვინ მოქცეულა  
— ჰანიბალი, არც ცეზარი;  
მტერი ისე „მოატყულა“,  
რომ, როდესაც რუსის ჯარი

დელაქალაქს იკავებდა  
გამარჯვების მძებარი,  
მან ვერ ჰპოვა, თუმც ეძებდა,  
ვერც სარდალი, ვერც მხედარი.

ეხლა ხმალი შეუნახავს;  
მან კალამი შოიღერა;  
კალამითაც ისე ჩმახავს,  
როგორც ხმალი შეიფერა.

## IV

ჩვენ ეგ ძია არ გვინახავს,  
თურმე ბერლინს იმყოფება.  
ამბობენ რომ: კამეჩსა ჰვავს,  
ზანტია და იცოხნება.

წინად იყო ნოეს კული,  
ეხლა ლეკის ხარჯზე ძლება;  
თუ არ მოუხადე ქული  
უწმასურად ილანძლება.

ერთი „ბზიკი“ ჰყავს მას ტვინში  
უშველეთ; — თუ ეშველება,  
დუხაიში ან რეინში  
ან იმ არხში ჩაიხრჩვება.

## V

ხელობა აქვს დაფასდება,  
მკურნალია მშვენიერი;  
მაგრამ მისსა დაკაცებას  
არ ეშველა არაფერი.

ამ ბატონმა ხან იპარსა,  
ხან გაუშვა თვისი წვერი,  
მაგრამ წინად იყო რაცა,  
ისევ ისე დარჩა მტერი.

## VI

ამას იცნობთ, თქვენ, ამ ჯოჯოს?  
კუმ — მეც ნახირ ნახირიო.  
მაშ შენცა გსურს, შე ბაღლინჯო  
რომ აქ საქმე აგვირიო?

აქაო და ოლთისის ვიყავ,  
მეც კაცებში ვითვლებიო  
რატომ მე-კი არა მკითხავთ  
გამცნოთ ბრძნული ფიქრებიო.

ეჰ, სადა ხართ: ლაზათიანო  
მათრახო ხარის ძარღვისა,  
პანღურო ბარაქიანო  
ცხვირ წაწვრილებულ წალისა!  
ყარამან

## მ მ ი ზ რ ა ც ი ა შ ი

### ქაქუცას საფლავზე

ქ. ჩოლოყაშვილის გარდაცვალების მერვე წლის თავზე პარიზის ქართული კოლონიის გამგეობამ გადაიხადა პანაშვიდი. საფლავზე სწორა ბერძნების მღვდელმა. პანაშვიდს, როგორც ყოველწლიურად, დაესწრო დიდალი ქართველობა. საფლავი ყვავილებით მოირთო. სამწუხაროდ, უინციდენტოდ ეს პანაშვიდიც ვერ ჩატარდა. საზოგადოება, ის იყო დაშლას აპირებდა, რომ მოულოდნელად წინ წარსდგა შალვა ამირეჯიბი და დაიწყო სიტყვა... ამ ოდიოზური პიროვნების გამოჩენამ სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. დამსწრეთა ერთი ნაწილი, რათა ამირეჯიბისათვის ყური არ ეგდო, საფლავს გაშორდა. დასასრულს, პროტესტებით მიმართეს პანაშვილის მომწყობ კოლონიის თავმჯდომარეს — ბ-ნ ვახტანგ ლამბაშიძეს და გამოიჩვენა, რომ კოლონიის გამგეობას, არა თუ დასტური არ მიუცია ამირეჯიბისათვის სიტყვა წარმოეთქვა, არამედ ბ-ნ ვ. ლამბაშიძეს მისთვის გადაჭრით უარიც უთქვამს. კოლონიის გამგეობისთვისაც მისი გამოსვლა მოულოდნელი სიურპრიზი ყოფილა.



ამირეჯიბის ასეთმა თავხედობამ ქაქუცას ყველა გულწრფელი პატივის მცემელი აღაშფოთა. ქაქუცას წინაშე ცოდვების მოსანანიებლად ამირეჯიბს სხვა საშუალება უნდა მოენახა.

### ქართული ენის გაკვეთილები

ქართველ საზოგადოებას ეხსომება, რომ შალვა ამირეჯიბმა, ამ რამდენიმე თვის წინად, ბამატის ჟურნალის ფურცლებზე უკმაყოფილება გამოსთქვა: ემიგრაციის გამოცემები ქართულ ენას ამახინჯებენო. მოიყვანა მაგალითებიც და აღგვითქვა, რომ ამ სამარცხვინო ნაკლის გამოსასწორებლად თითონვე მიიღებდა ზომებს ქართული სამწერლო ენის ნიმუშების მოცემით.

ამირეჯიბი ამ დაპირებას ასრულებს — ვგონებთ ერთად-ერთი შემთხვევაა, როცა ის თავის ნათქვამს ასრულებს — და იძლევა მართლაც იშვიათ ნიმუშებს. მას შემდეგ რაც ქართული ბეჭდვითი სიტყვა არსებობს, ამირეჯიბის ჟურნალის გამოცემამდე ვერსად ვერ მონახავთ ამდენ ქუჩურ, ხულიგურ, უცნაურ სიტყვებს. ეს ნამდვილი ჩუქურთმებია ავლაბრისა და იარმუკის ავარების ლექსიკონისა; აი მაგალითები: „...„სტალინი დედას უტირიკინებს!...“ „გადაღვტილი თავი საცა უნდა ეგდოს“... „ატრაკუნე პუბლიცისტი“... და სხვა.

აი, თურმე რასა რქმევია სამწერლო ქართული ენა!

„კოკასა შივან რაცა სდვას, იგივე წარმოსდინდების“ — ამირეჯიბმა რაც იცის იმას გვასწავლის. ნამდვილი ამირეჯიბი, ნიღაბ ახდილი სწორედ ეს არის. აფსუს, რომ ეს ჟურნალი ავლაბრამდე ვერ აღწევს — რას გაიხარებდნენ ყომარის მოთამაშე ავარები!

### ბ-ნ ტ. ელექტორის მოხსენება

ენისის 9-ს, „სოსიეტე სავანის“ დარბაზში, „კავკასიის შემსწავლელ წრეში“ ბ. ელექტორიმ წაიკითხა მოხსენება ჟურნალ „კავკაზის“ პოზიციის დასაცავად.

ეს იყო ბამატის წრის პირველი საჯარო გამოსვლა და ბუნებრივია, რომ პარიზში მცხოვრებ კავკასიელებში ცნობისმოყვარეობა აღეძრა. მაგრამ მოხსენებამ კავკასიური საზოგადოება ვერ დააკმაყოფილა და დამსწრეთა სიმპატია „კავკაზს“ ვერ შესძინა. არც ერთი ცოცხალი მოსაზრება, არც ერთი ახალი პოლიტიკური დებულება ბ-ნ ელექტორის არ მოუყვანია. მან გაიმეორა მთელი ამ წლების მანძილზე ჟურნალ „კავკაზის“ მიერ ნაცოხნი მოსაზრებანი.

თუ ამ მოხსენების მიზანი კავკასიურ საზოგადოებასთან დაახლოება და „კავკაზი“-სადმი მტრული განწყობილების შენელება იყო, — მომხსენებელმა სწორედ საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია. ეტყობოდა, რომ ამას მომხსენებლის მეგობრებიც გრძნობდნენ — ერთმა მათგანმა, მიხეილ კელიამ, მოხსენების დასრულებისთანავე ლექტორს საყვედური განუცხადა.

ამრიგად, ეს „დებიუტი“ კრახით დამთავრდა: კავკასიის ყველა ერების მოქალაქეთაგან შემდგარ აუდიტორიაში არ აღმოჩნდა არც ერთი ადამიანი (გარდა, რასაკვირველია, დაქირავებული ქართველები-სა), ვისაც ბამატის მოღვაწეობის გამართლება და დაცვა მოესურვებო-



ნოს! კამათში მონაწილეობა მიიღეს შემთხვევით დამსწრე ქართველებმა, სომხებმა, ადერბეიჯანელებმა და ჩვენდა სასიამოვნოდ, აშკარად გამოირკვა, რომ ჩვენი კავკასიელი მეზობლებიც ჩვენზე ნაკლებად არა ყოფილან აღშფოთებულნი „კავკასის“ ფიურერის „მოღვაწეობით“.

„კავკასის“ შტაბი კავკასიური ემიგრაციიდანაც ისევე გარიყული ყოფილა, როგორც ქართულიდან.

დასასრულ, მოვიყვანთ მოხსენების მთავარ სენსაციას: ელექტორის სიტყვით ტფილისში ზნეობა იმდენად დაცემულა, საზოგადოება იმდენად გარყვნილა, რომ: „ტფილისელი დედები თავიანთ მცირეწლოვან ქალიშვილებს ერთ წყვილ წინდებდა აჭირავებენო“ — ასეთი ყოფილან ტფილისელი დედები! ასე გვარწმუნებს ეს ვილაც ხოტი. ამას ყურს უგდებს საქართველოს ყოფილი მთავარ სარდალი, „დიდი მეცნიერი“ ზ. ავალიშვილი, „დიდი მოღვაწე“ შ. ამირეჯიბი და მომხსენებელს „მეცნიერული“ და „აკადემიური“ ლექციისათვის მხურვალე ტაშით აჯილდოვებენ! ბარაქალა მათ ქართველობას!

### წერილი რედაქციის მიმართ

პატ—ლო ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ „ახალი ივერიას“ უახლოეს ნომერში მომითავსოთ შემდეგი ცნობა: ბ-ნ ვ. ანდრონიკაშვილს ჩემზე საჩივარი აღუძრავს „ახალი ივერიას“ რედაქციაში და როგორც მასვე უთქვამს კოლონიის გამგეობაშიც, ჩემდა გასაოცებლად, ანდრონიკაშვილი, ამ საჩივარში ასახელებს ისეთ უმსგავსო და დაუჯერებელ ამბავს, რომლის შეზახვა მხოლოდ ავადმყოფ ადამიანს შეეძლო. ამ ცილისწამებისათვის ანდრონიკაშვილი მე გამოვიწვიე სამედიატორო სასამართლოში. ჩემს მედიატორებად დაუსახელებ სწორედ ის პირები, ვისაც მან საჩივრით მიმართა: ბ.ბ. დ. სინჯიკაშვილი და ალ. ცომაია. ამ დღიდან ერთი თვე გავიდა. სამედიატორო სასამართლო ანდრონიკაშვილმა არ ისურვა, რადგან, ცხადია, თავის ნათქვამის დასაბუთებას მოსთხოვდნენ.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მე მიინდა ეს საქმე საზოგადოებას გავაცნო: ყურნალი „კავკასიას“ ხელმძღვანელები, რომლებთანაც კარგი პირადი ურთიერთობა მქონდა, მაჯერებდნენ, რომ ჩემი ადგილი სწორედ მათ წრეში იყო. როცა ამ შიზანს სხვა გზებით ვერ მიაღწიეს, საქმის მოგვარება ანდრონიკაშვილს დააკისრეს. მან დავალება მიიღო, როგორც თითონ გადმომცა, ღენ. კვინიტაძე და შ. ამირეჯიბისაგან: გედევანიშვილმა „ივერიას“ თავი დაანებოსო. ანდრონიკაშვილმა ეს დავალება ვერ შეასრულა, რადგან „ივერიას“ ჯგუფთან მე მაკავშირებს არა მარტო ძველი მეგობრობა და ორგანიზაციული ამხანაგობა, არამედ საესებით ვიზიარებ მათ აზრებს, კერძოდ „კავკასიას“ შეფასებაშიც. ამან გამოიწვია ანდრონიკაშვილთან ჩემი ურთიერთობის გამწვავება და ბოლოს წაჩხუბებაც (რის გამოც, ვიდრე ამ უნაშუსო ცილისწამებას ვავეცნობოდი, მას წერილი მივწერე და მწუხარებაც გამოვთქვი). სამწუხაროდ და სამარცხვინოც, რომ ზოგიერთი ხანშესული ადამიანები ორი ამხანაგის ერთმანეთზე გადაკიდებასაც არ ერიდებიან მომხრეების საშოვნელად. უფრო კუდი კიდევ ის არის, რომ მიზნის მიღწევის შემდეგ ამის მიზეზად რაღაც უმსგავსობას სჩამახვენ.

პატივისცემით შოთა გედევანიშვილი